ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 14 მარტი, 2017 №61 (7296) ფასი: 50 თეთრი

## ლევან ბერძენიშვილი: „ხელისუფლებამ ვანდალებს ბათუმი დაარბევინა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაერთო“


გვ.3

## 13 მარტიდან

ეკა ჩიხლაძე

დასახვრეტი საქმე




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

# „მთელი სინოდი უნდა დაიკითხოს“


გვ.2

ადვოკატები სკანდალური ინფორმაციის გაჟღერებით იმუქრებიან

## რატომ ისესხა მამა გიორგი მამალაძემ 30.000




გვ.5

## „ხელისუფლებას გაქცევა მოუწევს“

„მარგველაშვილს და მის გუნდს სერიოზული პოლიტიკური ამბიციები აქვთ“

გიგლა ბარამიძე: „სტრასბური „ქართული ოცნების“ ვატერლოოა“

## ნინო კალანდაძე: „მოლოტოვის კოქტეილები სადღაციდან უცებ ვერ გაჩნდებოდა“

„თუ აღმოჩნდება, რომ დამნაშავე ჩვენ ვართ, მაშინ ჩვენ ვაგებთ პასუხს“


გვ.4

## ელისო კილაძის ვაჟი დააკავეს


გვ.2

## მანუჩარ მაჩაიძე: „ბათუმში ყველაფერი წინასწარ მოწყობილი იყო“


გვ.4


გვ.7

## გიორგი მღებრიშვილი: „40 ადამიანიდან ადმინისტრაციული წესით დაკავებულია 7 პირი, დანარჩენები ხელწერილით გათავისუფლდნენ“

## ალმაშენებლის ხეივანში ხიდიდან მანქანა გადავარდა


გვ.3

ISSN 1987-9385
9 771987 938006


გვ.7

## უჩა ნანუაშვილი: „სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება დაგვიანებული იყო“


გვ.6

## მერაბ კაკულია: „ფინანსური ჰოლდინგების ზედამხედველობის მექანიზმი უნდა ჩამოყალიბდეს“

თბილისში მრავალსართულიანი პარკინგი 10 ლოკაციაზე მოეწყობა





## სოფელ აჩხოტში წყაროს წყალზე გამოცხადებული აუქციონი ჩაიშალა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „მთელი სინოდი უნდა დაიკითხოს“

## ადვოკატები სკანდალური ინფორმაციის გაჟღერებით იმუქრებიან

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმედღიანი შესვენების შემდეგ ციანიდის საქმე ისევ აქტუალური გახდა და როგორც მოსალოდნელი იყო, თემაზე სკანდალური განცხადებებიც გაკეთდა. დეკანოზ გიორგი მამალაძის ერთ-ერთი ადვოკატი პროკურატურას საქმის შეწყვეტას ურჩევს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სკანდალური ინფორმაციების გასაჯაროებას აპირებს.

ადვოკატმა ჯერ კიდევ მამა გიორგის დაკითხვის დაწყებამდე განაცხადა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციების წყალობით, სასამართლოზე მისვლა სინოდის სრულ შემადგენლობას მოუწევს.

მიხეილ რამიშვილს, როგორც თავად ამბობს, ამ ინფორმაციების გაჟღერება არ სურს. ამბობს, რომ საპატრიარქოს და სახელმწიფოს ინტერესებს იცავს.

– ძალიან ბევრი რამე ვიცი და არ მინდა ეს ინფორმაციები საჯარო გავხადო, მაგრამ საქმეს თუ მსვლელობა მიეცემა, სინოდის 47-ვე წევრი უნდა დაიკითხოს. მე ძალიან სერიოზული ინფორმაცია მაქვს ხელთ, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში რამიშვილმა.

გუშინ, 13 მარტს, პროკურატურის წარმომადგენლები მამა გიორგისთან ორჯერ შევიდნენ. დაკავებულმა ჩვენების მიცემა მას შემდეგ განაახლა, რაც პროკურატურამ მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების დაცვის გარანტიები მისცა. ოჯახის უსაფრთხოების დაცვას დეკანოზი მისი დაკავების დღიდან ითხოვს.

13 მარტის დაკითხვით ადვოკატები დიდად უკმაყოფილოები არ ჩანდნენ. მიხეილ რამიშვილმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ პროკურატურამ დეკანოზს ჩვეულებრივი კითხვები დაუსვა.

– მე პროკურატურის კითხვებს ვერ დავარქმევ კრიტიკულს, ეს იყო ჩვეულებრივი საგამოძიებო კითხვები და შემიძლია გითხრათ, რომ ყველა ამ კითხვას მამა გიორგიმ გასცა ამომწურავი პასუხი. მეტი კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ, რადგან დაკითხვის პროცედურა არ დასრულებულა. ციანიდზე იყო კითხვები, თუმცა ვისგან შეიძინა მამა გიორგიმ ციანიდი, ჯერჯერობით ეგ კითხვა არ დასმულა, – ამბობს ადვოკატი.

გავრცელებული ინფორმაციით, ახლო მომავალში ციანიდის საქმეზე შესაძლოა კიდევ რამდენიმე პიროვნება დააკავონ ან დაკითხონ. ამ მიმართულებით შავ სიაში პატრიარქის დაცვის სამსახურის ყოფილი უფროსი სოსო ოხანაშვილიც მოხვდა.

ადვოკატების განმარტებით, ჯერჯერობით საქმეში სოსო ოხანაშვილი არ ფიგურირებს. მათთვის ამ ეტაპზე უცნობია, დაკითხავენ თუ არა დაცვის ყოფილ უფროსს.

პროკურატურამ ოხანაშვილი ერთხელ უკვე დაკითხა. ეს დაახლოებით ერთი თვის



წინ მოხდა. ის ჩვენების მისაცემად თბილისში ბერლინიდან ჩამოიყვანეს.

საპატრიარქოს იურისტი ედიშერ ქარჩავა ახლაც ამბობს, რომ ოხანაშვილი ეჭვმიტანილია.

– ამ საქმეში ერთ-ერთი მთავარი ეჭვმიტანილი, ვისთანაც მამა გიორგი მამალაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა, სოსო ოხანაშვილია, – ამბობს მედიასთან საუბარში ედიშერ ქარჩავა.

ციანიდის საქმეზე კიდევ ერთი ახალი დეტალი გასაჯაროვდა. პროკურატურის გამომძიებლის არჩილ ტყეშელაშვილის ინფორმაციით, გერმანიაში გამგზავრებამდე დეკანოზმა ბანკიდან კრედიტი გამოიტანა. ამის შესახებ განცხადება ტყეშელაშვილმა „კვირის პალიტრასთან“ საუბარში გააკეთა.



– დადგენილია, რომ გერმანიაში გამგზავრების წინ გიორგი მამალაძე მიდის ბათუმში, სადაც ბანკიდან გამოაქვს სესხი 30.000 ლარი, – აღნიშნავს პროკურორი.

აღნიშნული ინფორმაცია ადვოკატებმაც დაადასტურეს. ისინი ამბობენ, რომ ეს ამბავი თავდაყირა აყენებს ვერსიას იმის შესახებ, რომ მამა გიორგისთვის ციანიდის შესაძენად ფული ვიღაცას უნდა გადმოერიცხა.

– დეკანოზს გერმანიაში გასამგზავრებლად სჭირდებოდა თანხა. კრედიტის აღება დანაშაული არ არის. საუბარი იმაზე, რომ ვინმეს უნდა გადმოეგზავნა ფული და შემდეგ მოხდებოდა ციანიდის შეძენა, სრული აბსურდია. ადამიანმა კრედიტი აიღო, იყო წასასვლელი თანხა, – აღნიშნა რამიშვილმა.

რამდენიმე დღის წინ პროკურატურამ ამ საქმეზე მტკიცებულებათა ნაწილი გამოაქვეყნა. საგამოძიებო უწყებამ ვერ დაადგინა, ვისგან შეიძინა მამა გიორგიმ ციანიდი. არადა, როგორც თავად ამბობენ, დეკანოზზე თვალთვალი ხორციელდებოდა.



### რატომ ისესხა მამა გიორგი მამალაძემ 30.000

არჩილ ტყეშელაშვილი ამ გაუგებრობას პროკურატურის და ბრალდებულის სიფრთხილით ხსნის. მისი თქმით, ღია ვიზუალური კონტროლი დიდ რისკთან იყოს დაკავშირებული.

– ჩვენ ისედაც ფარულად ვაყურადებდით და ვიწერდით მობილური ტელეფონით მის საუბარს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ვიზუალური კონტროლი ხდება დისტანციიდან, რათა ეჭვი არ აიღოს ობიექტმა, სწორედ ამიტომ აღარ გავწიეთ რისკი და არ ჩატარებულა ვიზუალური კონტროლი. ნებისმიერი ასეთი ღონისძიების შედეგები აისახება ოქმებში, ასეთი დოკუმენტი კი საქმეში არ არსებობს და გაუგებარია, რაზე დაყრდნობით აცხადებენ ადვოკატები, რომ მიმდინარეობდა ბრალდებულის თვალთვალი. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი არ იცნობენ საქმის მასალებს.

ჩვენ განვახორციელეთ მხოლოდ ბრალდებულსა და ირაკლი მამალაძეს შორის შეხვედრების აუდიო-ვიდეოჩაწერა. ბრალდებული თანხის მოძიების შემდეგ გეგმავდა ირაკლი მამალაძისგან ციანიდის შეძენას, თუმცა აღარ შეხვდა მას. ჩვენ დავადგინეთ, რომ გიორგი მამალაძეს საწამლავი უნდოდა ადამიანის მოსაწამლად და სასწრაფოდ სჭირდებოდა გერმანიაში გამგზავრებამდე, – განაცხადა არჩილ ტყეშელაშვილმა.

მისივე თქმით, გამოძიების მიერ უკვე დადგენილია, რომ გიორგი მამალაძე ციანიდის მოძიებას გერმანიაში გამგზავრებამდე აპირებდა.

ტყეშელაშვილის „კვირის პალიტრასთან“ საუბარში ამბობს, რომ ბრალდებული ჯერ კიდევ 2016 წლის აგვისტოში ცდილობდა, კონკრეტული პირისგან შეეძინა ციანიდი.

ადვოკატები კი ამტკიცებენ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფს ციანიდი საერთოდ არ შეუძენია.

მიხეილ რამიშვილი დეკანოზის სახლში ამოღებულ იარაღზე კიდევ ერთ განცხადებას აკეთებს და ამბობს, რომ ის იარაღი პროკურატურის მთავარ მოწმე ირაკლი მამალაძეს ეკუთვნოდა.

მიხეილ რამიშვილის ინფორმაციით, საქმის მოწმე ირაკლი მამალაძე თავისი მეგობრების მოწმედ დაყენებას აპირებს, რომ იარაღი მისი არ არის.

პროკურატურის მთავარ მოწმეზე გააკეთა განცხადება დაკავებულის მეორე ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ.

გასულ კვირას ირაკლი მამალაძემ სხვადასხვა მედიასაშუალებებში ამ საქმეზე არაერთი განცხადება გააკეთა.

ფანცულიას თქმით, მამალაძის საჯარო განცხადებები საერთოდ განსხვავდება არა მარტო საქმის რეალობიდან, არამედ მის მიერვე მიცემული ჩვენებებიდანაც კი.

ადვოკატის განცხადებით, ირაკლი მამალაძის მიერ გაჟღერებული ტერმინები უფრო მეტად შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულს, ვიდრე დეკანოზ გიორგი მამალაძის.

– საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე ირაკლი მამალაძე რა განცხადებებსაც აკეთებს ჟურნალისტებთან საუბრისას, არ შეესაბამება სიმართლეს. ირაკლი მამალაძის მიერ გაჟღერებული ტერმინები უფრო მეტ სისხლის სამართლის დანაშაულს შეიცავს, ვიდრე მამა გიორგი მამალაძის მიერ გაჟღერებული ტერმინები. ირაკლი მამალაძის მიერ გაკეთებული განცხადებები საერთოდ განსხვავდება არა მარტო საქმის რეალობიდან, არამედ მის მიერ მიცემული ჩვენებებიდანაც კი, – განაცხადა გიორგი ფანცულაიამ.

მან თავისი დაცვის ქვეშ მყოფის დაკითხვაზეც ისაუბრა. ადვოკატის თქმით, მამა გიორგის ძალიან ბევრ კითხვაზე აქვს პასუხი გაცემული.

– რაც მის საქმესთან შემხებლობაში იქნება, გასცემს პასუხებს. პროკურატურის ამოცანა თუ ის იქნება, რომ 90-იან წლებში ჩადენილი დანაშაულები მამა გიორგის დახმარებით გახსნან, ის ფიზიკურად ვერ უპასუხებს, – განაცხადა გიორგი ფანცულაიამ.

ადვოკატები ამ ჩვენების გასაჯაროებას ითხოვენ.

# ირაკლი ჩხვირკია: „ენმ-ს ოფიციალური წევრი არასოდეს ვყოფილვარ“



ირაკლი ჩხვირკია, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ დღეს პარტიიდან გარიცხა, ამ ფაქტს ფეისბუკზე გამოეხმაურა.

როგორც ჩხვირკია წერს, ის პარტიის ოფიციალური წევრი არც არასდროს ყოფილა.

– ყველას პირადში ვერ გიპასუხებთ. ვადასტურებ, რომ გამრიცხეს, მაგრამ ალბათ უფრო გამემიჯნენ, რადგან არასოდეს ვყოფილვარ პარტიის ოფიციალური წევრი და არც რაიმე პარტიული თანამდებობა მქონია!

გამრიცხეს მხარდამჭერთა რიგებიდან.

– ვრჩები საქართველოს ერთგულ ჯარისკაცად და ქართული ოცნების მოღალატეობრივი მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლად!!!

– დამშვიდდით! დრო ყველა კითხვას გასცემს პასუხს და ყველაფერს თავის ადგილას დააყენებს!!!

– ნუ ღელავთ ჩემო მეგობრებო, ნუ ღელავთ! ის, რომ ამდენი წლის პოლიტიკური აქტიურობის მიუხედავად, არსად არასდროს არ მეჭირა არავითარი პარტიული თანამდებობა, ნიშნავს იმას, რომ არსებობს ბევრად მეტი მიზანი და ბევრად უმთავრესი იდეა, ვიდრე რაიმე სახის თანამდებობა შეიძლება იყოს!!!

– იდეა ერთია და მას ჰქვია „ერთიანი, ძლიერი და განვითარებული საქართველო“ და ამ იდეის განხორციელებას შევეწირები სადაც არ უნდა ვიყო, როგორც არ უნდა ვიყო!!!

P.S. ჩემს სიმართლეს დავამტკიცებ! ზოგს შეგრცხვებათ, ზოგი ბოდიშს მომიხდით მაგრამ მე არაფერს არ მოვითხოვ თქვენგან! მიყვარხართ ყველა, ვინც ახლა განიცდით, – წერს ირაკლი ჩხვირკია.

# ელისო კილაძის ვაჟი დააკავეს



გაზეთ „ქრონიკა პლიუსის“ მთავარი რედაქტორის ვაჟი დაკავებულია, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე წუთის წინ გავრცელდა. ნიუპოსტთან საუბრისას კილაძე ფაქტს ადასტურებს.

– მეც მესამე პირისგან გავიგე, სამი საათის წინ დააკავეს, არ მიეცა არავისთან დაკავშირების საშუალება, მათ შორის არც ადვოკატთან, არ ვიცი, რა მიზეზით არის დაკავებული, ახლა მივდივარ ქალაქ თბილისის მთავარ სამმართველოში და გავიგებ ყველაფერს, – განაცხადა კილაძემ ნიუპოსტთან.

* * *

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, თბილისში 1989 წელს დაბადებული დ.ხ. დააკავეს.

როგორც ინტერპრესნიუსს შსს-ს პრესსამსახურში განუცხადეს, დაკავებულის ჩხრეკის შედეგად ამოღებულია ნარკოტიკული საშუალება (2 შეკვრა ფხვნილი და აბები). გამოძიება 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა, გასაღებას გულისხმობს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლევან ბერძენიშვილი: „ხელისუფლებამ ვანდალებს ბათუმი დაარბევინა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაერთო“

## „სამარცხვინო იყო, პოლიტიკური ძალები ქულების ჩაწერას რომ აპირებდნენ“

ნათია ხურცილავა

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **ლევან ბერძენიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბათუმში განვითარებულ მოვლენებს აფასებს.

***– ბატონო ლევან, თქვენ, როგორც წარმოშობით ბათუმელი, როგორ აფასებთ რამდენიმე დღის წინ განვითარებულ მოვლენებს? რეალურად რა მოხდა?***

– ბათუმში ყოველთვის იყო მანქანების პარკირების პრობლემა. რაც თავი მახსოვს, ამ თვალსაზრისით ბათუმი არასდროს გამოირჩეოდა. ახლა, როგორც ჩანს, ვიღაცამ გადაწყვიტა, რომ ეს პრობლემა მოაგვაროს. როგორც მე ვიცი, ჯარიმების გამოწერის ფაქტები მართლაც იყო, რამაც საერთო ჯამში ორმაგი გავლენა მოახდინა: ერთი, მოქალაქეები კმაყოფილები იყვნენ, რაღაც წესრიგის მსგავსი გამოჩნდა. მეორე, მძღოლები უკმაყოფილოები იყვნენ, რადგან ამას მიჩვეულები არ იყვნენ.

ეს მომენტი იქნა გამოყენებული. ნებისმიერ ქალაქში დაჯარიმებას ყოველთვის მოსდევს წინააღმდეგობა, მაგრამ ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ დაჯარიმებას ლამის სამოქალაქო ომამდე მისული სიტუაციის განვითარება მოჰყვეს. ამხელა ქალაქი ფაქტიურად დაგვინგრიეს, დაგვილეწეს. მოქალაქეებს ამხელა ზიანი მიაყენეს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი საბაბად იყო გამოყენებული.

***– ვისი მხრიდან?***

– სანამ გამოძიება არ დასრულდება და შედეგებს არ დადებს, მანამდე ვიღაცები უკვე დამნაშავეებს ასახელებენ. ეს სრული უპასუხისმგებლობა არის.

ერთი, რაც პირდაპირ ჩანდა, არის ის, რომ ხელისუფლებამ რეაგირება 6 საათი დააგვიანა. ასევე, ხელისუფლებამ ვერ მოახდინა ამ მოვლენის პრევენცია. ხალხმა ტომრებით მოიტანა ქვებიო. სუსი რას აკეთებდა, როდესაც ეს ადამიანები ქვებს აგროვებდნენ?! ეს ნიშნავს, რომ უშიშროების სამსახური ცუდად ან საერთოდ არ მუშაობს. ის ფაქტი, რომ მოქალაქე ღოღობერიძე აცხადებს, მე ვარ ორგანიზატორი, ესეც მიუთითებს, რომ რაღაც ისე არ არის, როგორც უნდა იყოს.

***– ვისთან გაქვთ კითხვები?***

– უსუსურობა გამოავლინა როგორც შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ასევე უშიშროების სამსახურმა. მთავარი კი არის ის, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან დააგვიანა. ფაქტობრივად ვანდალებს ქალაქი დაარბევინა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაერთო, იმის შიშით, ვინმემ რამე არ დაგვაბრალოსო. ჩემი აზრით, რეაგირება დაგვიანდა იმიტომ, რომ პრემიერ-მინისტრმა თვითონ ვერ მიიღო გადაწყვეტილება. თუ მე ვცდები და გადაწყვეტილებას პრემიერი იღებს, მაშინ რატომ დასჭირდა 6 საათი, რომ გადაწყვეტილება მიეღო?! ეს სამარცხვინოა.



***– თუმცა, არგუმენტები იყო ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. ჩუგოშვილი გამოხატვის თავისუფლების ბოლომდე უზრუნველყოფაზე საუბრობს.***

– მანქანის დაწვა გამოხატვის თავისუფლებასთან კავშირში რომ არ არის, ეს ხომ იცის ჩუგოშვილმა. პირველი მანქანა რომ დაიწვა, სწორედ იქიდან დასჭირდა ხელისუფლებას 6 საათი, რომ ადეკვატური პასუხი გაეცა. გასაგებია, რომ პოლიტიკოსი მთავრობის სადარაჯოზე დგას, ეს ყოველთვის ასე იქნება, მაგრამ ნებისმიერ პოლიტიკოსს შეუძლია სიმართლე თქვას, ბოლოს და ბოლოს პარლამენტის წევრს, მით უფრო, რომ პარლამენტს არ დაუგვიანია, მთავრობამ დააგვიანა. ამიტომ დეპუტატს შეუძლია მთავრობა გააკრიტიკოს.

რაც ვნახეთ, იმას გამოხატვის თავისუფლებასთან კავშირი არ ჰქონდა. თავიდანვე ჩანდა, რაც იყო, ამიტომ პოლიტიკური ძალები ამაზე რომ აპირებდნენ ქულების ჩაწერას, ეს კიდევ უფრო სამარცხვინო იყო. ვინც რამე დააპირა ამ მიმართულებით, ისინი სამარცხვინოდ მოიქცნენ. ვანდალიზმს ხელი შეუწყვეს.

რაც შეეხება ალკვეთას, ის მართლაც კანონის დაცვით მოხდა და ადეკვატური ძალა იქნა გამოყენებული. აქ მე ხელისუფლებაზე ცუდს ვერ ვიტყვი.

***– სოციალურ ქსელებში დადებით კონტექსტშია პატრულის მოწოდებები: „თავი არ მიარტყას“, „არ სცემოთ“...***

– დიახ, ეს კარგია და ამაზე არავინ დავობს, აქ საუბარია დაგვიანებულ რეაქციაზე. პოლიციაზე და სპეციალური დანიშნულების რაზმზე აქ ეჭვი არ არსებობს. რატომ დაარბიეს ქალაქი, რატომ მისცეს ამის შესაძლებლობა?! მთელი მსოფლიოს თვალწინ ლაივში ხდებოდა ეს ყველაფერი.

***– გამოძიებაზე მინდა გკითხოთ.***

– მართალი გითხრათ, გამოძიების ბოლომდე არ მჯერა, რადგან საქართველოში არაფერი ბოლომდე გამოძიებული არ მინახავს, მაგრამ მოსამართლეებს ვაცალოთ, გამოიტანონ განაჩენი. პარლამენტის წევრი თალაკვაძე და პარლამენტის წევრი მდინარაძე ნუ გამოიტანენ განაჩენს. წინასწარ ნუ გვეუბნებიან, ვინ არის დამნაშავე, მაშინ როდესაც ამ ქვეყანას ჰყავს საგამოძიებო ორგანოები, რომლებმაც უნდა გამოიძიონ და შემდეგ სასამართლომ დაადგინოს, ვინ არის დამნაშავე.

***– ბატონო ლევან, ქსენოფობიური განცხადება, რომელიც თითქოს წინ უძღოდა ამ მოვლენებს, თუმცა, ეს ფაქტი არ დასტურდება, რამდენად არის დღეს სენსიტიური აჭარაში?***

– ეს არის ასლან აბაშიძის ხელწერა, რომ თითქოს ერთმანეთს მსგავს რამეს ვაბრალებთ, რომ ჩვენ ერთმანეთი არ გვიყვარს. ეს ყველაფერი თითიდან არის გამოწოვილი. ეს არაფერ შუაში არ არის რეალობასთან. რა თქმა უნდა, შეიძლება ბრბოს ეს უთხრა და გადარიო, მაგრამ იმის თქმა, რომ საქართველოს პრობლემაა, რომ ერთმანეთი არ გვიყვარს, ეს ტყუილია. ჩვენ ეს პრობლემა ნამდვილად არ გვაქვს. ამიტომ, ვინც ამას აღვივებს, ისინი უნდა ვიპოვოთ და კანონის მთელი სიმკაცრით დავსაჯოთ.

პატრულის უფროსის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება ყოფილმა უფროსმა დაგეგმა, ან ვიღაცამ სხვამ, რომ თავისი კაცი ჰყოლოდა უფროსად. როგორც ჩანს, მან მოიფიქრა ეს საშინელება. ვინც მსგავს რამეს ამბობს, ვინც ამით ხალხს ჭკუას ურევს, ისინი კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ. სინამდვილეში კი ვიცი, რომ ასეთი პრობლემა საქართველოში არ დგას.

***– ექსპერტები ამბობენ, რომ გარედან ვიღაცამ შეიძლება ერთგვარად ძალები მოისინჯა თუნდაც აჭარაში, რამდენად უშვებთ ამ ფაქტს?***

– თუ ხელისუფლება თავის ადგილზეა, არაფერი მოხდება. მსგავსი ამბების პრევენცია უნდა ხდებოდეს. შეუძლებელია, ასობით ადამიანი ქალაქში ჩამოიყვანო ქვით სავსე ტომრებით ხელში და ეს უშიშროებამ ვერ დაინახოს. ამ ზღაპრებს ნურავის მოუყვებიან. თავიანთ რიგებში ეძებონ მოღალატეები და გაყიდულებიც. მე არ მგონია, რომ ხელისუფლება თავისი მოქმედებით კმაყოფილი იყოს, კრიტიკულად უნდა შეისწავლოს ეს ამბავი. ერთი, ვინ არიან სუსის ის თანამშრომლები, რომლებიც ვანდალებთან ერთად დგანან და არა სახელმწიფოსთან ერთად? მეორე, რატომ მოხდა რეაგირების დაგვიანება?

***– ფიქრობთ, რომ ეს იყო შიდა უწყებრივი დაპირისპირება ორ ძალოვან უწყებას შორის?***

– ძალა, რომელსაც ასეთი აფეთქება შეუძლია აჭარაში გამოიწვიოს, რა თქმა უნდა, არსებობს. ანუ არსებობს ბრბო, რომელმაც შეიძლება მსგავსი სისულელე დაიჯეროს. მაგრამ, თუ სახელმწიფოში მოწოდების სიმაღლეზე იქნება უშიშროების სამსახური, ეს ძალა არაფერს წარმოადგენს. დარწმუნებული ვარ, რომ ამის ორგანიზატორი არ არის რომელიმე პოლიტიკური ძალა. ნებისმიერი პოლიტიკური პარტია დაინგრევა, თუ ასეთი აზროვნება ექნება. თუმცა, იყვნენ პოლიტიკური ძალები, რომლებიც მიეტმასნენ, ეგონათ, რომ მომგებიანი იქნებოდა.

ვარშალომიძეს ოდნავი გონება რომ ჰქონოდა, მხარდამჭერ აქციას ხომ არ დააანონსებდა. მერე გაუქმება მოუწია, როცა გაირკვა, რომ ვანდალიზმი მოწონებული არ არის მოქალაქეების მიერ.

# ეკა ბესელია ალეკო ელისაშვილისგან 20.500 ლარს ითხოვს



საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატ ალეკო ელისაშვილს სასამართლოში უჩივის.

20 მარტს უნდა გახდეს ცნობილი, დააკმაყოფილებს თუ არა სასამართლო დეპუტატის სარჩელს, რომელშიც ის ალეკო ელისაშვილს უსაფუძვლო ბრალდებების წაყენებისთვის უჩივის და, „მოამბის“ ინფორმაციით, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 20.500 ლარის გადახდას ითხოვს.

– იმის გათვალისწინებით, რომ ბატონი ელისაშვილის მხრიდან ადგილი ჰქონდა ეკა ბესელიას მიმართ ცილისმწამებლურ და შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს. ქალბატონი ეკა ბესელია იძულებული გახდა, თავისი უფლებების დაცვა სასამართლოსთვის ეთხოვა. ფაქტია, რომ ალეკო ელისაშვილის მხრიდან გაჟღერებული არცერთი ბრალდება არ დადასტურდა, – განაცხადა ეკა ბესელიას უფლებების დამცველმა, ადვოკატმა გიგა კვერენჩხილაძემ.



სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობად აფასებს აღნიშნულ ფაქტს ალეკო ელისაშვილის ადვოკატი და იმედს გამოთქვამს, რომ სასამართლო ეკა ბესელიას სარჩელს არ დააკმაყოფილებს.

– ეკა ბესელია წარმოადგენს საჯარო პირს, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებით მაღალი თმენის ვალდებულება, ისეთი ტიპის განცხადებებისას, როგორიც გაკეთებული აქვს ალეკო ელისაშვილს. შესაბამისად, ძალიან მცირეა იმის ალბათობა, რომ მოსამართლე მსგავსი ტიპის სარჩელი დააკმაყოფილოს, იმიტომ, რომ ეს იქნება პირდაპირი შეზღუდვა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, – განაცხადა ალეკო ელისაშვილის ადვოკატმა ლაშა მჭედლიძემ.

**ნიუპოსტი**

# თუ საქართველო სტრასბურის წინააღმდეგ წავა, ეს კონვენციის 34-ე მუხლს დაარღვევს



ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან გაკეთებულ განცხადებებს, რომელიც რუსთავი 2-ის საქმეზე სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებას უკავშირდება, ტელეკომპანიის იურისტი ეხმაურება.

– მათთვის, ვისაც ჰგონია, რომ სახელმწიფოს რომელიმე ორგანოს შეუძლია სტრაბურის გადაწყვეტილებას დროებითი ღონისძიების შესახებ გვერდი აუაროს რაიმე ფორმით, განგიმარტავთ: ჩვენს საქმეზე სტრაბურმა საქართველოს ხელისუფლებას მიუთითა, რომ დროებითი ღონისძიების შეუსრულებლობა ნიშნავს კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევას და იქვე მიუთითა „მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ საქმის 128-ე და 129-ე პუნქტებზე.

აგერ რა წერია ამ პუნქტებში:

128. სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ კონვენციის 34-ე მუხლის ძალით ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება, თავი შეიკავონ ნებისმიერი მოქმედების ან უმოქმედობისგან, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს განმცხადებლის მიერ მისი განაცხადის უფლების ეფექტიან განხორციელებას.

ხელმშემკვრელი სახელმწიფოს მიერ დროებითი ღონისძიებების შეუსრულებლობა უნდა ჩაითვალოს სასამართლოსთვის ხელის შეშლად განმცხადებლის საჩივრის ეფექტიან განხილვაში და ხელის შეშლად განმცხადებლისთვის მის მიერ აღნიშნული უფლების ეფექტიან განხორციელებაში და, შესაბამისად, კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევად.

129. მის ხელთ არსებული მასალების საფუძველზე სასამართლო ასკვნის, რომ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად მითითებული დროებითი ღონისძიებების შეუსრულებლობით თურქეთმა დაარღვია მასზე კონვენციის 34-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულებები, – წერს მურადაშვილი.

**პირველი რადიო**

# ალმაშენებლის ხეივანში ხიდიდან მანქანა გადავარდა




თბილისში, ალმაშენებლის ხეივანში, ხიდიდან მანქანა გადავარდა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაცვლილია მძღოლი. შემთხვევა დღეს მოხდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის, ან უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ერთი ადამიანის გარდაცვალება გამოიწვია.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# მანუჩარ მაჩაიძე: „ბათუმში ყველაფერი წინასწარ მოწყობილი იყო“

## „ხალხი ნაციონალების დემაგოგიას არ უნდა ენდოს“

მარიამ მჭედლიშვილი



ბოლოდროინდელ მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატ **მანუჩარ მაჩაიძეს.**

***— საზოგადოებრივი მოძრაობა „ახალი ერთობა საქართველოსათვის“ ბათუმში მომხდარი მოვლენებისა და მათზე ხელისუფლების დაგვიანებული რეაგირების გამო მოითხოვს პრემიერ კვირიკაშვილის გადადგომას.***

— ძალიან სახიფათო მოვლენები განვითარდა ბათუმში, თუმცა არ მესმის, ამის გამო რატომ უნდა გადადგეს პრემიერ-მინისტრი. ამას წინ უძლოდა გარკვეული მოვლენები. მაგალითად, მოქალაქეების დაჯარიმება. ამ მხრივ შეიძლება გადაცდომაც იყო, მაღალი ჯარიმები საერთოდ ტვირთად აწვება მოსახლეობას. სოციალური მდგომარეობა მძიმეა. მიუხედავად ამისა, იქ განვითარებულ პროცესებს სხვა სახე ჰქონდა. ეს არ ჰგავდა სპონტანურ პროტესტს.

***— გგონიათ, რომ არეულობა ორგანიზებული იყო?***

— ამაში ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული. არ გამოვრიცხავ გადაცდომებსა და დარღვევებს, მაგრამ ის, რაც შემდეგ განვითარდა, წინასწარ შემუშავებული და პროვოცირებული იყო. არიან ძალები, რომლებიც ყველაფერს იყენებენ იმისათვის, რომ გამოიწვიონ არეულობა და გადააყენონ ეს ხელისუფლება. ამაზე საჭიროა სრულყოფილი გამოძიება.

***— საპარლამენტო არჩევნების წინ გავრცელდა ჩანაწერები. აღიძრა საქმე. ხელისუფლებამ გვითხრა, რომ ნაცმოძრაობა ამზადებს ხელისუფლების დამხობას. არჩევნების შემდეგ ეს საკითხი აღარავის უხსენებია.***

— ამ ჩანაწერებით მტკიცდება, თუ რა გეგმები აქვს სააკაშვილს, რას ავალებს ის რუსთავი 2-ის გენერალურ დირექტორს, თანაპარტიელებს და რისი მიღწევა უნდა. აქედან იკვეთება, რომ ნაცმოძრაობის გეგმები შორსგამიზნულია. მათ არეულობისათვის ნებისმიერი საბაბი შეიძლება გამოიყენონ, მათ შორის, პროვოკაციები. ბოლო დროს ბევრი მოვლენა საეჭვოდ დაემთხვა ერთმანეთს.

***— რომელი მოვლენები გაქვთ მხედველობაში?***

— საპატრიარქოს გარშემო მიმდინარე მოვლენებით დაწყებული, ხელოვნურად გაჩენილი ხანძრებით დამთავრებული. როცა ასეთი სიტუაციაა, შესაბამისმა უწყებებმა ასი თვალი და ასი ყური უნდა გამოიბან, რომ ახალი პროვოკაციები არ მოხდეს, მომხდარი კი ბოლომდე უნდა გამოიძიონ.

***— რა შეიცვალა ქვეყანაში მას შემდეგ, რაც სტრასბურის სასამართლომ საქმის არსებით განხილვამდე რუსთავი 2-ის საქმეზე მიღებული განაჩენის შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო?***

— ხალხის თვალში არაფერი შეცვლილა. რუსთავი 2 რჩება ნაციონალური მოძრაობის პარტიულ ტელევიზიად. რაც უნდა იყვირონ, რომ ეს არხია ქვეყანაში დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების მთავარი დამცველი, ამას ობიექტური ადამიანი არ დაიჯერებს. სიტყვისა და აზროვნების თავისუფლება საქართველოში დაცულია. ეს ტელევიზიაც მუშაობს ისე, როგორც უნდა. ოღონდ, მიუკერძოებელი არხის იარლიყს ნუ მიიწებებს!

გარკვეულ ძალებს საქართველოში არეულობა უნდათ. ამისათვის იყენებენ ყველაფერს. ჩვენ გამოვიარეთ 90-იანი წლების მოვლენები. ახლაც ჩანს სამოქალაქო ომის გაჩაღების მცდელობა. ამას საქართველო ვეღარ გაუძლებს. სოციალური ფონი მძიმეა, მაგრამ ამას მარტო ამ ხელისუფლებას ტყუილად აბრალებენ.

***— ეს მძიმე მემკვიდრეობაა?***

— რა თქმა უნდა. პრობლემები დაიწყო შევარდნაძის დროიდან, როცა მოხდა დეინდუსტრიალიზაცია, ფაბრიკა-ქარხნები ჩალის ფასად გაიყიდა და ჯართად გავიდა. ახლა ამბობენ, რომ სხვანაირად არ შეიძლებოდა. როგორ არ შეიძლებოდა! ორი-სამი ჩაის ფაბრიკა რომ დაეტოვებინათ, ან ავეჯის საწარმო, ამით ვის რა დაუშავდებოდა? ჩვენ რომ საწარმოები გვქონდეს, ამხელა უმუშევრობა არ იქნებოდა. გეგმური ეკონომიკა არ გვაქვს, რომ ხელისუფლებამ საწარმოები გახსნას. 25 წელიწადია გავიძახი, რომ არჩეული ეკონომიკური და მონეტარული მოდელი აჩანაგებს საქართველოს. აქედან მოდის უმუშევრობა და სიდუხჭირე.

***— არსებობს კონსტიტუციაში შესატანი ეკონომიკური ინიციატივა. მის თანახმად, უნდა მოიხსნას გადასახადების ზრდის შეზღუდვა. ეს უფრო ხომ არ გააუარესებს მდგომარეობას?***

— მოქმედი კანონით, გადასახადების ზრდა მხოლოდ ხალხის ნებართვით, რეფერენდუმის შედეგად შეიძლება. ეს ახალი ინიციატივა განსახილველი საკითხია. ამაზე უნდა გაიმართოს ფართო მსჯელობა. მგონია, რომ ამ ცვლილების შეტანით მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებენ ბიზნესს.

***— დაბოლოს, დესტაბილიზაციის მცდელობები კიდევ იქნება?***

— ის ძალები, რომლებსაც დესტაბილიზაცია უნდათ, არ გაჩერდებიან. მიზეზსა და საბაბს რა დალევს. იმ ქვეყნებში, სადაც გადატრიალებები და რევოლუციები მომხდარა, სულ უმნიშვნელო პრობლემაც გამოუყენებიათ. ამიტომ, ხელისუფლება უნდა იყოს ფხიზლად და მომხდარის გამოძიების გარდა, დანაშაულის პრევენციაზეც იფიქროს. საზოგადოებაც უნდა იყოს ფრთხილად. ხალხი ნაციონალების დემაგოგიას აღარ უნდა ენდოს.

# ნინო კალანდაძე: „მოლოტოვის კოქტეილები სადღაციდან უცებ ვერ გაჩნდებოდა“

## „თუ აღმოჩნდება, რომ დამნაშავე ჩვენ ვართ, მაშინ ჩვენ ვაგებთ პასუხს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **ნინო კალანდაძე** პასუხობს.

***— ნინო, სერიოზული ბრალდებები გამოითქმის იმასთან დაკავშირებით, რომ ბათუმის მოვლენების უკან ნაციონალური მოძრაობა დგას. როგორია თქვენი დამოკიდებულება და შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

— ჩემი შეფასება ძალიან ცალსახა და მკვეთრია და ამას, სამწუხაროდ, ადასტურებს ხელისუფლების განცხადებები. მე მოვისმინე არჩილ თალაკვაძის განცხადება.

***— თალაკვაძე ნაციონალურ მოძრაობას ქვებით შეიარაღებულ ჯგუფს უწოდებს.***

— მისიც და დანარჩენების განცხადებებიც ცხადყოფს და ადასტურებს ჩვენს ეჭვებს, რომ ამ პროვოკაციების უკან სწორედ რომ ხელისუფლება დგას და ძალიან გამიზნული ქმედებებით განახორციელა ეს ყველაფერი. ხელისუფლებას, რომელიც წლებია იძლევა მხოლოდ ყალბ დაპირებებს და ვერ პასუხობს ხალხის ვერც ერთ მოთხოვნას, ეშინია ხალხის პროტესტის, მას ეშინია ხალხის ხმის და სწორედ ამიტომ არის, რომ ის ებრძვის ტელევიზიებს, ხურავს ტელევიზიებს, ებრძვის ერთადერთ ოპოზიციურ ძალას და ამ ფორმით ებრძვის იმ პრობლემებს, რის გამოც გამოდის ეს ხალხი ქუჩაში.

***— და რისთვის გამოდის ეს ხალხი ქუჩაში? რას აპროტესტებს?***

— პატარა ინციდენტს ამხელა პროტესტი საზოგადოების მხრიდან ვერ მოჰყვებოდა, რომ არ იყოს უმძიმესი სოციალური ფონი საზოგადოებაში და არა მხოლოდ სოციალური. ხუთი წელია ისმის მხოლოდ დაპირებები და ხალხი ხედავს, რომ მისი ფულით ხდება ბიძინა ივანიშვილის ხუშტურების დაკმაყოფილება, ხეების აქეთ-იქით გადარგვა და ასე შემდეგ.

***— ეს იყო ქაოტური სოციალური პროტესტი?***

— ეს არის ფონი, რომელიც საზოგადოებაში არსებობს. მე სხვა ახსნა არ მაქვს, რატომ შეიძლება ერთი პოლიციელის მიერ თუნდაც ძალაუფლების გადამეტებას საზოგადოების ასეთი მკვეთრი პროტესტი მოჰყვეს.

***— თუ საზოგადოებაში ამხელა უკმაყოფილების მუხტია, ამის უკან ხელისუფლება როგორღა დგას? საკუთარ თავს დაუპირისპირდა?***

— ეს პროვოკაცია სრულიად მოწმენდილ ცაზე განხორციელდა და განხორციელდა ძალიან საეჭვო გარემოებებში.

***— რას გულისხმობთ საეჭვო გარემოებებში?***

— ჩვენ გვაქვს ბათუმიდან ინფორმაციები, რომ აქცია ნამდვილად მიმდინარეობდა, მაგრამ ის იყო სრულიად მშვიდობიანი.

***— ვინ იყო ამ აქციის ორგანიზატორი?***

— ეს იყო სრულიად სპონტანური აქცია, არავის მიერ ორგანიზებული. ვერავინ დაიჯერებს, რომ ერთი კაცის მიერ ორგანიზებული იყო ეს აქცია. ეს იყო სპონტანურად შექმნილი განწყობა, რომელიც ზუსტად ასახავდა იმ რეალობას, რაც აჭარის მოსახლეობაში არის და არა მარტო აჭარის, უბრალოდ, მათ ასე მკვეთრად გამოხატეს ეს პროტესტი.

ამ ვითარებაში უცებ სადღაციდან აღმოცენდა რამდენიმე ნიღბიანი ადამიანი, რომელიც ამავდროულად კარგად იყო აღჭურვილი ტექნიკურად, საბურავებით, მოლოტოვის კოქტეილებით, რომელიც ნახევარ საათში და 20 წუთში არ მზადდება. სადღაციდან უცებ ვერ გაჩნდებოდა.

***— წინასწარ იყვნენ მომზადებულნი?***

— დიახ და მათ მიზანმიმართულად მოახდინეს პროვოკაცია.

***— ვინ მოახდინა ეს პროვოკაცია? ხელისუფლება თქვენ გაბრალებთ, თქვენ — მათ.***

— ეს ხელისუფლებისგან რომ იყო პროვოცირებული, ამაზე მეტყველებს პირველი ის, რომ ასე თავისით, მოწმენდილ ცაზე ეს პროვოკაცია ვერ დაიგეგმებოდა. მეორე, სწორედ ხელისუფლების ინტერესშია, რომ მშვიდობიან პროტესტს დაუპირისპიროს პროვოკაცია, რადგან მას ეშინია რეალურად ხალხის ხმის და მესამე, ხელისუფლებას რომ ვინმე კონკრეტულზე ეჭვი ჰქონოდა, მაშინ რატომ იცდიდა დილის 5 საათამდე?! რატომ არ ადგა ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი თავისი საწოლიდან, რატომ არ გამოვიდა, რატომ განცხადება არ გააკეთა, რატომ პოლიცია არ გამოიყვანა, რატომ არ დაიცვა ბათუმის ქუჩები და აჭარის მოსახლეობა?! თუ მათ კონკრეტული ეჭვები ჰქონდათ ვინმეზე, რატომ მაშინვე არ დააკავეს ეს ხალხი?!



ვინმეს სჯერა, რომ „ქართული ოცნების“ პროკურატურა 5 ბრიფინგს არ გამართავდა, რომ სცოდნოდა, რომ ეს ნაციონალური მოძრაობის მიერ ორგანიზებული იყო?! მათ მიზანმიმართულად უყურეს სეირს!

***— მიუშვეს სიტუაცია?***

— რა თქმა უნდა! მიუშვეს ბოლომდე. აბა სხვა რა ახსნა აქვს, ბათუმის ქუჩები პრაქტიკულად იწვოდა! მანქანები იწვოდა, ხალხი ზიანდებოდა, ინფრასტრუქტურა ნადგურდებოდა და ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი თავს ვალდებულად არ თვლიდა, რომ განცხადება გაეკეთებინა, სამართალდამცავების მობილიზება გაეკეთებინა.

***— ხომ ვისმენდით კვირიკაშვილის და უმრავლესობის სხვა წევრების გამოსვლებს?***

— დაიცადეს დილის 5 საათამდე და 5 საათზე პრემიერ-მინისტრმა დაგვდო პატივი და განაცხადა, ჩვენ არ ვერეოდით, რომ თავისით განმუხტულიყო სიტუაციაო. ეს ხომ აბსურდია. ეს ხომ მეტყველებს იმაზე, რომ მათ ეს პროვოკაცია მიზანმიმართულად მოაწყვეს, ამ პროვოკაციას მისცეს შესაძლებლობა და გასაქანი, რომ შემდეგ დაებრალებინათ ეს ოპოზიციისთვის. სხვათა შორის, ერთადერთი ოპოზიციისთვის. არავის სხვას ბრალი არ დასდეს, მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას.

***— ეს რაში სჭირდებოდა ხელისუფლებას?***

— იმისთვის, რომ შექმნან მტრის ხატი ნაციონალური მოძრაობისგან, იმისთვის, რომ ადამიანებს შეეშინდეთ, იმისთვის, რომ მათ ვერასდროს გაბედონ პროტესტის გამოთქმა და რეალურად ამით გადაფარონ ის დიდი მარცხი, რომელიც მათ განიცადეს რუსთავი 2-ის საქმეში, გადაფარონ ის ყოველდღიური მავნებლობა, რომელსაც ივანიშვილის დავალებით ყოველდღიურად ახორციელებს „ქართული ოცნება“.

***— ვრცელდება ინფორმაციები, რომ თითქოს სუს-სა და პოლიციას შორის არის დაპირისპირება, რომ ღარიბაშვილის კადრები ებრძვიან საპატრულო პოლიციას. ამაზე რას იტყვით?***

— მე ამ ფსევდოსპეკულაციებში ვერ შევალ. მე არა მგონია, რომ აქ შიდა დაპირისპირებაზე იყოს საუბარი. აქ საუბარია ძალიან მიზანმიმართულ ქმედებაზე. ნახეს პროტესტის ტალღა, მათ იციან, რომ ადრე თუ გვიან მოსახლეობაში პროტესტის ტალღა გაჩნდება, მათ დაინახეს, რომ პროტესტი შესაძლოა რეალური გახდეს, მთელ ქვეყანას მოედოს. ამავდროულად, მათ ვერ მოასწრეს რუსთავი 2-ის ჩახშობა და ეს ყველაფერი შესაძლოა კრიტიკულ ტელევიზიაში ვლინდებოდეს და იმთავითვე გადაწყვიტეს, ეს ჩაახშონ ძალიან მარტივი გზით.

***— რა გზით?***

— პირველი, დაანახონ ხალხს, რომ პროტესტს შეიძლება მოჰყვეს უკიდურესი დესტაბილიზაციის ფორმები, რაც შეიძლება მოსახლეობის ინტერესებში არ შედიოდეს და მეორე, რომ ამით ისარგებლებს ის ე.წ. სისხლიანი რეჟიმი, რომელსაც ჰქვია ნაციონალური მოძრაობა. შექმნან მტრის ხატი და შეაშინონ მოსახლეობა, რომ მათ ვერ გაბედონ ხმის ამოღება. აი, ეს არის მთელი სქემა!

***— ნაციონალური მოძრაობის მხრიდან კეთდებოდა განცხადებები, რომ აქციას სოლიდარობას უცხადებდით. ითქვა ისიც, რომ თქვენმა პარტიამ წაახალისა ეს აქცია. ასეა? ამიტომ გაჩნდა ეჭვები თქვენი მისამართით?***

— ნაციონალურმა მოძრაობამ არავითარ შემთხვევაში არ წაახალისა. ეს სიცრუეა! ნაციონალურმა მოძრაობამ თავი ვალდებულად ჩათვალა, სოლიდარობა გამოეცხადებინა იმ მშვიდობიანი აქციისთვის, რომელიც წარიმართა სწორედ იმიტომ, რომ ასეთი დიდი უკმაყოფილების მუხტი არსებობდა საზოგადოებაში.

ნაციონალურმა მოძრაობამ არამცთუ არ წაახალისა ვანდალიზმი და სუს-ის მიერ მოწყობილი პროვოკაცია, არამედ ჩვენ ვართ პირველი, ვინც ძალადობას გმობს. ჩვენ დავამკვიდრეთ კანონმორჩილება ქვეყანაში, ჩვენ შევქმენით პატრული, ჩვენ ავაშე-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# „ხელისუფლებას გაქცევა მოუწევს“

## „მარგველაშვილს და მის გუნდს სერიოზული პოლიტიკური ამბიციები აქვთ“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ითრევს ფეხს ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენაზე, რა მოხდა სინამდვილეში ბათუმში, სად გაუჩინარდა ადგილობრივი ხელისუფლება, უნდა ველოდოთ თუ არა მსგავს არეულობებს საქართველოს სხვა რეგიონებში? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტპატიმარი... – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი **გიგლა ბარამიძე** ესაუბრება.

***– ექსპერტების დიდი ნაწილი გაზაფხულიდან სოციალურ აფეთქებას ვარაუდობდა. ბევრი მათგანი სწორედ ამის გამოვლინებად მიიჩნევს 11-12 მარტის ბათუმის მოვლენებს. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

– დაახლოებით თვენახევრის წინ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ვთქვი, რომ ქვეყანაში სერიოზული პროცესები დაიწყებოდა. მერე იყო ციანიდის სკანდალი. ამის შემდეგაც გითხარით, რომ ეს არ იყო ყველაფერი. სამწუხაროდ, ბათუმის მოვლენებით არ დასრულდება ეს პროცესი, კიდევ ბევრი რამე მოხდება.

ჩვენს ხელისუფლებას აქვს ძალიან სუსტი საკადრო პოლიტიკა, ტოტალურად არიან დაკომპლექსებული და ინტელექტუალების საშინლად ეშინიათ, აგვიანებენ ყველგან და ყველაფერში, შედეგი იქნება ძალიან ცუდი.



სტრასბური ხომ ამ ხელისუფლების ვატერლოოდ – დამარცხების სიმბოლოდ იქცა. რამდენჯერაც ევროსასამართლოს გაეკარნენ, იმდენჯერ თავზე დაემხოთ. როდემდე შეიძლება ყველაფერზე ხელი 2 კინკილა ნაციონალისკენ გაიშვირონ. თუ ევროსტრუქტურებში ყველაფერი ისე წყდება, როგორც ეს ნაციონალებს და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას უნდა, მაშინ რაში იღებენ ხელისუფლების წარმომადგენლები ხელფასებს.

ერთ რამეში კი ნამდვილად შევაქებ ხელისუფლებას, ბათუმის მოვლენებმა დაგვანახა, რომ „ოცნება“ არ დამსგავსებია სისხლიან და კაცთმოძულე ნაციონალურ მოძრაობას.

***– თქვენ კმაყოფილი ხართ ბათუმში ხელისუფლების რეაგირებით?***

– მე მომეწონა ის, როგორ მოქმედებდა სპეცრაზმი. დანარჩენზე კი რა გითხრათ. როცა გავეშებული ბრბო ქალაქს არბევდა, რატომღაც არსად ჩანდა არც ბათუმის მერი და არც ვიცე-მერი. ადგილობრივ ხელისუფლებას ამ ხალხის გაჩერება არ უცდია. სპეცრაზმის ნაგვიანევი ჩართვა რომ არა, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა იქ.

***– არის მოსაზრება, რომ შემდეგი დაძაბულობის კერა შესაძლოა სამცხე-ჯავახეთში გაჩნდეს. თქვენ წლების მანძილზე იყავით ამ მხარის გუბერნატორი, კარგად იცნობთ რეგიონის სპეციფიკას, რას იტყვით, უნდა ველოდოთ დაძაბულობას ამ მიმართულებით?***

– ამ რეგიონში 7 წელი ვიყავი და ისიც კი ვიცი, სად რა ქვა დევს. ასევე კარგად ვიცი, რა ხდება მთელს საქართველოში. დაძაბულობის კერა ნებისმიერ კუთხეში შეიძლება გაჩნდეს. იმედი მაქვს, ბათუმის მოვლენებიდან ხელისუფლება რაღაც დასკვნებს მაინც გააკეთებს. მით უმეტეს, ნათლად გამოჩნდა, რომ ეს იყო მართული პროცესი.

***– ვის მიერ იყო მართული? „ოცნება“ ხელს ყოფილი ხელისუფლების მიმართ იშვერს.***

– ამ მოვლენებში რამდენიმე დაჯგუფება იყო ჩართული. ყოფილი ხელისუფლების ერთმა შტომ საკუთარი თავის ლუსტრირება თავად მოახდინა. ბათუმში არეულობა ახალი დაწყებული იყო, ესენი აქ თბილისში გამოვარდნენ სოლიდარობის გამოსაცხადებლად. ეს იმდენად უხეშად გააკეთეს, რომ მათმა მეორე ფრთამ, რომელმაც „ევროპული საქართველო“ დაირქვა და ხვალ შესაძლოა „ტრამალის მგლები“ დაირქვან, ეს მოვლენები დაგმო. იგივე გააკეთეს არასამთავრობოებმა და ბათუმში მოხტუნავე პოლიტიკოსებს პირდაპირ მოუწოდეს, თქვენი განცხადებებით ცეცხლზე ნავთს ნუ ასხამთო.

ხელისუფლებაც ამბობს, რომ ამ ყველაფერს პოლიტიკური ფესვები აქვს და თუ ასეა, გამოიძიეთ, თქვე დალოცვილებო, ხელს ვინ გიშლით. რამე მაინც მიიყვანეთ ბოლომდე. მიუხედავად იმისა, რომ მე ოპოზიციონერი ვარ, მიმაჩნია, რომ დაუშვებელია პოლიციის მანქანებზე ჭინკებივით ხტომა, მათი ამოტრიალება და დაწვა. ისევე, როგორც პოლიციელზე ხელის აღმართვა.

ეს საქმე ბოლომდე გამოძიებული თუ არ იქნა და რეპეტიციის დონეზე დარჩა, ეს მოვლენები კიდევ უფრო მძიმე ფორმებით განმეორდება. ქვეყანას ჰყავს უშიშროების საბჭოც და კრიზისების მართვის სამსახურიც. სად იყო ამ დროს ან ერთი, ან მეორე. ასეთ კრიზისულ დროს თუ არ მოქმედებენ, რაში ვუხდით ხელფასს?

იმასაც ვერავინ იტყვის, რომ ეს არეულობა მოულოდნელად დაიწყო. ამ მოვლენებამდე 2 დღით ადრე ვინმე მერაბ ღოღობერიძე სოციალური ქსელით მოსახლეობას ქუჩაში გასვლისკენ მოუწოდებდა, წერდა, პოლიცია თათრებს გვეძახისო. ეს კაცი მაშინვე უნდა დაეკითხათ.

***– თათრებს გვეძახიან პოლიციელებიო, ეს ღოღობერიძის გარდა, სხვებმაც თქვეს.***

– უშუალოდ ეს არავის მოუსმენია. ამბობენ, თითქოს ასეთი რამე პოლიციელმა რესტორანში თქვა. ამის არც მნახველი არსებობს და არც ამის დამადასტურებელი ფირი არსებობს სადმე. ეს ყველაფერი პროვოცირებისთვის იქნა გამოყენებული. მეტი კი არაფერი გააკეთა გაპონმა 1905 წელს, ხალხი რომ დაახვრეტინა.

კარგით, ვთქვათ, ღოღობერიძის განცხადებებს ყურადღება არ მიაქციეს, ისიც ვერ გაიგეს, ტომრებით ქვებს და ფულს რომ აგროვებდნენ? ეს ძალიან ბევრ კითხვას ბადებს. იქნებ ხელისუფლების რომელიღაც შტოს აწყობდა ასეთი არეულობა.

***– უკვე გაჩნდა ასეთი ვერსიაც, ამბობენ, რომ ეს ყველაფერი შესაძლოა ადგილობრივი სუსის და საპატრულო პოლიციის დაპირისპირების შედეგია.***

– მე ფაქტები არა მაქვს, რომ ამის მტკიცება დავიწყო, მაგრამ რაც ვნახეთ, ეს ეჭვებს ბადებს. უმცირესობის მხარდაჭერით ხელისუფლების სათავეში რომ მოხვედი, პრევენციული ზომების მიღება ვინმემ აგიკრძალა? საქმე სპეცრაზმის გამოყენებამდე უნდა მისულიყო? ამ ადამიანებმა მართლა უმაღლეს დონეზე იმოქმედეს და მადლობა მათ, რომ ეს გავეშებული ბრბო გააჩერეს.

მინდა კიდევ ერთხელ დავუბრუნდე იმ ყურით მოთრეულ ფრაზას, თათრებს, რომელმაც მთელი ბათუმი აღაშფოთა. მე კარგად მესმის, ჩემო ბათუმელებო, რომ თქვენ გეწყინათ, როცა გაიგეთ, რომ ვიღაცამ ასეთი ტერმინით მოგიხსენიათ, მაგრამ ის რატომ არ გაწუხებთ, თქვენს ლამაზ ქალაქში ქართულ წარწერას რომ ვერ იპოვი, სანთლითაც რომ ეძებო. ეს განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდშია თვალსაჩინო. რესტორანში რომ მიხვალ, მენიუს რომ მოითხოვ და ქართულის გარდა ყველა ენაზე რომ მოგიტანენ, ეს არ არის საწყენი? ყავახანებში რომ წერია, გვინდა თურქული ენის მცოდნე მიმტანი.



### გიგლა ბარამიძე: „სტრასბური „ქართული ოცნების“ ვატერლოოა“

ეს უნდა გაშფოთებდეთ და არა ვიღაცის წამოყრანტალებული ფრაზა. ამასთან, არც ის ვიცით, მართლა თქვა თუ არა იმ ადამიანმა ეს.

რატომ არ აშფოთებთ ბათუმელებს ის ამბავი, რომ მანქანები პლაჟზე ისე არიან დალაგებული, ლამისაა, ზღვაში შევიდნენ. ანტისანიტარია რომ არის ქალაქში, ამაზე რატომ არ სთხოვენ პასუხს ქალაქის მერიას. საინტერესოა, სად იყო ამ არეულობის დროს ქალაქის მერი. იმედია, ამას მოიკითხავენ. შესაძლოა, ისიც სადმე იყო წასული, როგორც აჭარის მთავრობის თავმჯდომარე. ან ამ ხელისუფლებას რა გაუჭირდა ისეთი, რომ ამ თანამდებობაზე ნაციონალების აქტივისტი ელჩი, ზურაბ პატარაძე დანიშნეს.

***– ბათუმის მერიც დაახლოებული იყო ნაციონალებთან. ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე სულ იმას ამბობდა, 2012 წლამდე ერმაკოვი ბაჩო ახალაიას მარჯვენა ხელი იყოო.***

– მთელი მთავრობა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებით არის სავსე და ეს ამბავი აღარც კი უკვირს ხალხს. ჩინოვნიკებს ხალხში ავტორიტეტი აღარ აქვთ და ამიტომ ვერ გაბედეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბათუმელებთან მისვლა. სამაგიეროდ, იქ მივიდნენ „თავისუფალი ზონის“ წევრები და ხელისუფლებას ულტიმატუმებს უყენებდნენ.

ბათუმი ბევრი რამის მაჩვენებელია და ხელისუფლებას ვურჩევ, თვითკმაყოფილებაში ნუ ჩავარდებიან. განცხადებების გაკეთებას შეეშვან და ამ საქმეს საფლავში ჩაყვნენ. ბოლომდე თუ არ გამოიძიებენ, სხვაგან მიიღებენ იგივეს. და ნაციონალებისკენ ასე ხელის გაშვერას ჯობია, ფაქტები დადოთ და ამხილოთ ერთხელ და სამუდამოდ.

მახსენდება 1,5 წლის წინ რუსთავი 2-ის გარშემო ატეხილი მღელვარება. მაშინ გამოვიდა სპეცსამსახურის უფროსის მოადგილე და მრავალისმეტყველი, დამძიმებული სახით გვითხრა, სახელმწიფო გადატრიალების და შეთქმულების მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრაო. ეს ადამიანი ახლა სხვა უწყების პირველი პირია, ის პირები კი თავისუფლად დადიან, ვის წინააღმდეგაც საქმე აღიძრა.

დღეს ხელისუფლება იმ ძალის წარმომადგენლებთან თანამშრომლობს, რომელთა წინააღმდეგაც ამ მძიმე მუხლით საქმე აღძრეს. ეს თანამშრომლობა განსაკუთრებით ნათლად არჩევნებზე გამოჩნდა. ისინი გაერთიანდნენ, რათა ნამდვილი ოპოზიცია პარლამენტის მიღმა დაეტოვებინათ.

***– თქვენ მათი თანამშრომლობა ახსენეთ და თუ სახელმწიფო გადატრიალების მუხლით აღძრული საქმე არ გამოიძიეს, ბათუმის ამბებს გამოიძიებენ ბოლომდე?***

– არ გამოიძიებენ და, როგორც უკვე გითხარით, სხვა რეგიონებში მიიღებენ იგივე პროცესებს.

***– ამ პროცესების და მანამდე სტრასბურის გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ ბევრი განცხადება გაკეთდა მოსალოდნელ სამთავრობო ცვლილებებზე. თქვენ რას ფიქრობთ, დატრიალდება სამთავრობო კარუსელი?***

– მიდგომები თუ არ შეიცვალა, რა მნიშვნელობა აქვს სამთავრობო ცვლილებებს. მაღალი თანამდებობის პირებს თავად არაფრის გადაწყვეტა არ შეუძლიათ, იმ ერთ ადამიანთან მისვლას კი კვირების მანძილზე ვერ ახერხებენ. არიან ჩვეულებრივ მარაზმში და ჰგონიათ, საკონსტიტუციო უმრავლესობა უშველის. როგორც კი რაიმე მოხდება, ისევე მოიქცევიან, როგორც მათი წინამორბედები.

***– რას გულისხმობთ?***

– რაიმე გართულების შემთხვევაში ესენიც ნაციონალებივით დაეწყობიან და ცოლიანშვილიან-საყვარელიან-ფულიანად წითელი ხიდის გავლით გაიქცევიან საქართველოდან. ყველა საქმეს ბოლომდე თუ არ მიჰყვებიან, მოუწევთ წითელ ხიდზე სირბილი. ჩვენ გარშემო უამრავი რაღაცები ხდება, ჩვენ კი პოლიტიკურ ჭაობში ვართ ჩარჩენილი და იქედან ამოსვლა არ გვინდა. მთელი ქვეყანა ციანიდს გადავაყოლეთ, თითქოს არ შეიძლებოდა ამ საქმის ჩუმად გამოძიება.

11-12 მარტის მოვლენების შემდგომი განვითარება ბევრ კითხვაზე გასცემს პასუხს. ხელისუფლება თუ დამნაშავეებს არ დასჯის და ყოფილ ხელისუფლებას არ ამხელს, საბოლოოდ დაადასტურებს, რომ მათთან თანამშრომლობენ. „ქართულ ოცნებას“ და ყოფილ ხელისუფლებას ერთმანეთი ჰაერივით სჭირდებათ. უნიათო ხელისუფლებისთვის ხელის შესაწმენდად აუცილებელია ისეთი გასვრილი ძალა, როგორიც ნაციონალური მოძრაობაა. ალბათ ყველას გახსოვთ, ხელისუფლების შეცვლამდე რამდენს საუბრობდნენ იმაზე, შუა უნდა გაიკრიფოსო. ჯერ კიდევ მაშინ დაიწყეს ნიადაგის მომზადება იმისთვის, რომ ქვეყანაში მარტო ეგ 2 ძალა უნდა ყოფილიყო. ახლაც მაქსიმალურად ცდილობენ, სხვა პარტიები ჩაძირონ, მაგრამ ეს ბოლომდე არ გამოუვათ.

***– სხვა პარტიებზე ვსაუბრობთ და თქვენი აზრით, ვიხილავთ თუ არა კიდევ ერთ პარტიას, რომელსაც სათავეში გიორგი მარგველაშვილი ჩაუდგება?***

– მარგველაშვილს სერიოზული პოლიტიკური ამბიციები გაუჩნდა. ალბათ ამიტომაც არიან ხელისუფლების წარმომადგენლები მასზე ასე გამწარებულები. არადა წლების წინ ბიძინა ივანიშვილთან ერთად ამტკიცებდნენ, რომ მარგველაშვილი საუკეთესო პრეზიდენტი იქნებოდა.

ხათრით არჩეული პრეზიდენტი საკმაოდ ჭკვიანი აღმოჩნდა. ის კარგად მოეწყო ავლაბრის რეზიდენციაში, კარგი ურთიერთობები დაამყარა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამთავრობოებთან. მას ჰყავს თავისი გუნდი და აქვს პოლიტიკური ამბიციები. „ოცნებასთან“ გამწვავებული ურთიერთობა მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება.

## ნინო კალანდაძე: „მოლოტოვის კოქტეილები სადღაციდან უცებ ვერ გაჩნდებოდა“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ნეთ ბათუმი და არამც და არამც არ დავუშვებდით, რომ ბათუმის ქუჩები ასე უმოწყალოდ დამწვარიყო!

***– თქვენი განცხადებებიდან გამომდინარე, ეს იმიტომ გაკეთდა, რომ თქვენი იმიჯი შელახულიყო. რამდენად გამოუვიდა ეს ხელისუფლებას?***

– ამის მცდელობა უდავოდ არის. ექვსი წელია ვუყურებთ, რომ ხელისუფლება არაფერს აკეთებს გარდა იმისა, რომ აკმაყოფილებს ივანიშვილის სურვილებს და ებრძვის ნაციონალურ მოძრაობას. მთელი სახელმწიფო აპარატი მუშაობს ჩვენს დისკრედიტაციაზე და არამცთუ დაასუსტეს ნაცმოძრაობა, პირიქით, გააძლიერეს და მისი საამომრჩევლო ხმები გაზარდეს. ჩვენი იმიჯის შელახვა არ გამოუვათ. აქ საუბარია ხალხის უკმაყოფილებაზე, საერთოდ რა შუაშია ნაციონალური მოძრაობა?! ნაციონალური მოძრაობა არის თუ არ არის, ეს ხალხი უკმაყოფილოა მისი ხელისუფლებით.

***– ნაციონალური მოძრაობა აქციებს აანონსებდა სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ბათუმში, მაგრამ გააუქმეთ. რატომ?***

– ჩვენ მიერ იგეგმებოდა სოლიდარობის აქციები ხალხის პროტესტის მიმართ. ჩვენი ამოცანა არ არის აქციების ჩატარება, ჩვენი ამოცანაა, ვიყოთ ხალხთან, როცა ეს მათ სჭირდებათ. დიახ, ეს აქციები გავაუქმეთ. სწორედ იმიტომ, რომ ამ ეტაპზე ეს მიზანშეწონილად არ ჩაითვალა, ისედაც მწვავე ფონია და ამას გამწვავება აღარ სჭირდება. ასევე ხელისუფლება არა თუ დაიცავს წესრიგს, არამედ ხელს შეუწყობს, რომ დესტაბილიზაცია მოხდეს. და ყველაზე მთავარი – ამ ეტაპზე ხელისუფლებამ ჯერ უნდა გამოიძიოს, რა მოხდა.

***– გვესმის განცხადებები, რომ დამნაშავეები უმკაცრესად დაისჯებიან.***

– სწორედ ამიტომაც გადაიდო ეს აქციები. ხელისუფლება ვალდებულია, რომ პირველ რიგში ჩამოხსნას იმ ადამიანებს ნიღბები და გვითხრას, ვინ იყვნენ ისინი. დაგვანახოს ეს ადამიანები. თუ აღმოჩნდება, რომ ეს ადამიანები ჩვენ ვართ, მაშინ ვაგებთ ჩვენ პასუხს! დღეს ხელისუფლების მთავარი სამიზნე ნაციონალური მოძრაობაა.


გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მზარდი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამოყენება სასურველია შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# მერაბ კაკულია: „ფინანსური ჰოლდინგების ზედამხედველობის მექანიზმი უნდა ჩამოყალიბდეს“

– თუ ჩვენ შევხედავთ იმ მსხვილი კომერციული ბანკების ბალანსებს, რომლებიც არაპროფილური აქტივების ფაქტობრივ ფლობასა და მართვაშია „ეჭვმიტანილი“, ვნახავთ, რომ ასეთი აქტივები უკვე კარგა ხანია ბანკებისგან გამოცალკევდა და ფინანსურ ჰოლდინგებს გადაეცა.... ემპირიულ დონეზე საკმაოდ ძნელია ერთ ჰოლდინგში შემავალ ბანკებსა და არასაბანკო კომპანიებს შორის რაიმე ექსკლუზიური ურთიერთობის (აფილირების) გამოვლენა, რაც აღნიშნულ კომპანიებს არსებით კონკურენტულ უპირატესობებს მიანიჭებდა, თუმცა სხვადასხვა ფორმით აფილირების დანახვა მაინც შეიძლება, – განაცხადა რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა, პროფესორმა **მერაბ კაკულიამ**.




***– საქართველოს პარლამენტმა განიხილა და კენჭი უყარა საკანონმდებლო პაკეტს, რომლის მიხედვით საქართველოს ეროვნული ბანკის წიაღს დაუბრუნდება საფინანსო ზედამხედველობის სამსახური. რამ განაპირობა ის, რომ ბოლო წლების განმავლობაში ამ ძალიან მნიშვნელოვანი სტრუქტურის მოძრაობა აქეთ-იქით ორჯერ მოხდა?***

– დავიწყოთ იმით, თუ რამ გამოიწვია თავის დროზე ცენტრალური ბანკებიდან საზედამხედველო ფუნქციის გამოყოფის გლობალური ტრენდის ჩამოყალიბება, რა იყო ამის მიზეზი? ეს ტენდენცია განსაკუთრებით 90-იან წლებში გამოიკვეთა, როდესაც როგორც პრაქტიკულ, ისე აკადემიურ დონეზე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მონეტარული პოლიტიკის გატარების და საბანკო ზედამხედველობის ფუნქციების თავმოყრა ცენტრალურ ბანკში იწვევს ინტერესთა კონფლიქტს, რომელიც მონეტარული პოლიტიკისა და საბანკო ზედამხედველობის მიზნებს შორის წარმოიშვება.

მონეტარული პოლიტიკის მიზანია ფასების სტაბილურობა, ანუ ინფლაციის ზომიერი და პროგნოზირებადი ტემპის მიღწევა და შენარჩუნება; საბანკო ზედამხედველობის მიზანი კი არის ფინანსური სტაბილურობა ანუ ფინანსური სექტორის, უპირველეს ყოვლისა, ბანკების ფინანსური სიჯანსაღის უზრუნველყოფა, რაც მათ მიერ გაწეული რისკების რეგულირებით ხორციელდება.

ბოლო 25 წლის განმავლობაში მოხდა ფინანსური საქმიანობის ძირითად სახეობებს – საბანკო, სადაზღვევო და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებს შორის საზღვრების წაშლა, რაც ცენტრალური ბანკის ფარგლებს გარეთ მათზე კონსოლიდირებული ზედამხედველობის შექმნის მნიშვნელოვან არგუმენტად ჩაითვალა. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, განსაკუთრებით ანგლოსაქსური მოდელის მქონე ქვეყნებში, ეს მართლაც ასეა. მაგალითად, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში და ბევრ სხვა ქვეყანაში რთულია ზღვრის გავლება, სად მთავრდება საბანკო საქმიანობა და სად იწყება სადაზღვევო საქმიანობა თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრებთან დაკავშირებული ოპერაციები.

ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, ვინც ფინანსური სექტორის დამოუკიდებელი მეგარეგულატორი შექმნა, დიდი ბრიტანეთი იყო. მას შემდეგ არაერთმა ქვეყანამ გაიზიარა ეს მოდელი. 2008 წელს საქართველოს ეროვნული ბანკიდან აღნიშნული ფუნქციის პირველად გამოყოფა და ფინანსური ზედამხედველობის დამოუკიდებელი სააგენტოს შექმნა ასე თუ ისე ჯდებოდა გლობალურ ტრენდში, თუმცა სპეციალისტებს ეს გადაწყვეტილება მაშინაც უსაფუძვლოდ და ნაადრევად მიაჩნდათ.

სიტუაცია არსებითად შეიცვალა 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის დროს, როდესაც გამოვლინდა, რომ დამოუკიდებელმა და უნივერსალურმა ფინანსურმა რეგულატორებმა ვერ შეძლეს ფინანსური სექტორის სისტემური რისკების განეიტრალება. გარდა ამისა, მათ ხელთ არ აღმოაჩნდათ ფინანსური ინსტიტუტების ქმედითი დახმარების ინსტრუმენტები. მხედველობაში გვაქვს ბოლო ინსტანციის კრედიტორის ფუნქცია (როდესაც ცენტრალური ბანკი კრედიტს აძლევს ფინანსურად გაჭირვებაში მყოფ ბანკებს), რომელიც ისევ ცენტრალური ბანკების ხელში დარჩა.

კრიზისმა აჩვენა, რომ ასეთი გამოცალკევება ნაკლებად ეფექტიანია, ამიტომ დაიწყო საფინანსო ზედამხედველობის ფუნქციის კვლავ ცენტრალურ ბანკებში რეინტეგრაციის პროცესი. ამ ფონზე, 2009 წელს, ფინანსური ზედამხედველობის ეროვნულ ბანკში დაბრუნებას პროფესიულ წრეებში ცალსახად დადებითი შეფასება მიეცა, თუმცა ნათელი იყო, რომ ეს ფაქტი უფრო ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დანიშვნასთან იყო დაკავშირებული, ვიდრე გლობალური ტენდენციების და ქვეყნის შიდა რეალობის რაციონალურ გააზრებასთან.

***– თქვენ ეს ყველაფერი ერთი მხრივ სამართლებრივი კუთხით, ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიკურად მისი ადგილი და როლი ახსენით. მაგრამ, ჩემი აზრით, ჩვენთან უფრო პოლიტიკური მოტივები იყო ყველაფრის განმსაზღვრელი და სწორედ ამან გამოიწვია აჟიოტაჟი.***

– სავალუტო ფონდმა პროგრამის განუახლებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად 2016 წელს ეროვნული ბანკიდან საფინანსო ზედამხედველობის სამსახურის კიდევ ერთხელ გამოყოფა დაასახელა. ანუ ყველაზე ავტორიტეტულმა საერთაშორისო ფინანსურმა ორგანიზაციამ, ისე როგორც ქართველ პროფესიონალ ექსპერტთა დიდმა უმრავლესობამ, ეს გადაწყვეტილება აბსოლუტურად გაუმართლებლად მიიჩნია; მით უმეტეს, რომ ბოლო წლებში გაძლიერდა ფინანსური ზედამხედველობის ცენტრალურ ბანკებში დაბრუნების გლობალური ტენდენცია. იგივე დიდ ბრიტანეთშიც აღნიშნული ფუნქცია ცენტრალურ ბანკში დაბრუნდა. ამ საკითხის გარშემო საქართველოში განვითარებული მოვლენების ფონზე ცხადია, სხვას ვერაფერს იფიქრებ, თუ არა პოლიტიკურ მოტივებთან კავშირს. მოტივი კი იყო ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის მიმართ პოლიტიკური უნდობლობა.

***– საზოგადოება თუ ექსპერტთა გარკვეული ნაწილი მთავარ პრობლემას კონკურენტული გარემოს დარღვევაში ხედავს. თქვენ როგორ ხედავთ ამ რეალობას?***

– თუ ჩვენ შევხედავთ იმ მსხვილი კომერციული ბანკების ბალანსებს, რომლებიც არაპროფილური აქტივების ფაქტობრივ ფლობასა და მართვაშია ეჭვმიტანილი, ვნახავთ, რომ უშუალოდ ამ ბანკების საკუთრებაში ასეთი აქტივები უკვე კარგა ხანია აღარ არის. ისინი ბანკებისგან ინსტიტუციურად გამოცალკევდა და გადაეცა ფინანსურ ჰოლდინგებს, რომელთა შემადგენლობაშიც მათთან ერთად თვითონ ბანკებიც შევიდნენ.

უფრო მეტიც, ემპირიულ დონეზე საკმაოდ ძნელია ჰოლდინგში შემავალ ბანკებსა და არასაბანკო კომპანიებს შორის რაიმე ექსკლუზიური ურთიერთობის (აფილირების) გამოვლენა, რაც აღნიშნულ კომპანიებს არსებით კონკურენტულ უპირატესობებს მიანიჭებდა.

მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ფორმით აფილირების დანახვა მაინც შეიძლება. მაგალითად, ვთქვათ, მოცემული ბანკი უშუალოდ არ აკრედიტებს იმავე ჰოლდინგში შემავალ დეველოპერულ კომპანიას, თუმცა შეუძლია თავის კლიენტს შესთავაზოს აღნიშნული დეველოპერული კომპანიის ფასიანი ქაღალდი ან(და) სხვა რაღაც პროდუქტი.

## თბილისში მრავალსართულიანი პარკინგი 10 ლოკაციაზე მოეწყობა



ფილარმონია, მერია, მეტროსადგურები – ეს იმ ლოკაციების არასრული ჩამონათვალია, სადაც დედაქალაქის მერია მრავალსართულიანი პარკირების სისტემის მშენებლობას გეგმავს.

დედაქალაქის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, ამ კუთხით თბილისში მიმდინარე ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა უკვე დასრულდა.

– მიწისქვეშა და მიწისზედა მრავალსართულიანი პარკინგის მშენებლობა ქალაქის ყველაზე დატვირთულ 10 ადგილში იგეგმება. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა უკვე დასრულებულია. პარალელურად მზადდება დოკუმენტი, რომლითაც დაინტერესებული კომპანიებისთვის ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდება. საუკეთესო წინადადების მქონე კომპანიებს კი მრავალსართულიანი პარკინგების აშენების შესაძლებლობა მიეცემათ, – აცხადებს ნარმანია.

მიწისქვეშა და მიწისზედა პარკინგის მშენებლობა – რკინიგზის სადგურთან, ფილარმონიასთან, ისნის მეტროს მიმდებარედ, მერიასთან, მეიდანზე, მეტრო „ახმეტელთან“ და სხვა ადგილებში იგეგმება.

## სოფელ აჩხოტში წყაროს წყალზე გამოცხადებული აუქციონი ჩაიშალა



ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ აჩხოტის წყაროს წყალზე გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებული აუქციონი ჩაიშალა.

სააგენტოს ცნობით, აუქციონში მონაწილეობის სურვილი არავინ გამოთქვა.

როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის პირველმა მოადგილემ მაია ზავრაშვილმა „ბიზნესპრესნიუსს“ უთხრა, იმ შემთხვევაში თუ ვინმე კვლავ გამოხატავს აღნიშნულ წყაროს ლიცენზიის მოპოვებაზე სურვილს და სააგენტოს განცხადებით მიმართავს, საკითხის ხელახლა შესწავლა მოხდება.

გამოცხადებული აუქციონის თანახმად, მტკნარი წყლით სარგებლობის ლიცენზიის ვადად 25 წელი, აუქციონის საწყის ფასად კი 10 065 ლარი იყო მითითებული.

როგორც გარემოს ეროვნულ სააგენტოში „ბიზნესპრესნიუსს“ უთხრეს, წყალზე ლიცენზიის მოპოვებასთან დაკავშირებით, მათ ფიზიკურმა პირმა გასულ წელს მიმართა. ქართველი ინვესტორი იქ ჩამოსასხმელი ქარხნის აშენებას და ადგილობრივების დასაქმებას გეგმავდა.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე აუქციონის გამოცხადებას სოფლის მოსახლეობა აპროტესტებდა და აქციებითაც კი იმუქრებოდა. მათივე ცნობით, წყაროს წყალს სასმელად არა მარტო აჩხოტის, არამედ სოფელ არშას მოსახლეობაც იყენებს.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის, ზურაბ ზილინაშვილის თქმით, აჩხოტში დაახლოებით 400, სოფელ არშაში კი 500 მოსახლე ცხოვრობს.

## სუვენირებით მოვაჭრეები ბათუმის მერის წინააღმდეგ




ბათუმში სუვენირებით მოვაჭრეებმა საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი არ ეთანხმებიან მერიისგან შეთავაზებულ პირობას, რომლის თანახმადაც, 70 მოვაჭრეს 25 ჯიხურს სთავაზობენ. აქციის მონაწილეების თქმით, აღნიშნული 25 ჯიხურის განაწილებას ვერ მოახერხებენ. როგორც აქციის ერთ-ერთი მონაწილე ნინო მეფარიშვილი აცხადებს, მერია მათ რიგრიგობით ვაჭრობას სთავაზობს.

სუვენირებით მოვაჭრეთა პრეტენზიებს ბათუმის მერმა გიორგი ერმაკოვმა უპასუხა.

მისი განმარტებით, გოგებაშვილის ქუჩაზე 60 ჯიხური ვერ განთავსდება, თუმცა 30-მდე სუვენირების ჯიხურის მოწყობა შესაძლებელია.

გიორგი ერმაკოვი გოგებაშვილის ქუჩის გარდა გამსახურდიასა და ბულვარის შესასვლელთან ჯიხურების რაოდენობის გაზრდას არ გამორიცხავს.

– გოგებაშვილის ქუჩაზე 60 ჯიხური ვერ განთავსდება. რაოდენობა განსაზღვრული გვაქვს და მხოლოდ 27 ჯიხური განთავსდება. თუ საშუალება გვექნება, 30-მდეც გავზრდით. გოგებაშვილისა და გამსახურდიას ქუჩაზე და ბულვარის შესასვლელთან რაოდენობის გაზრდა შესაძლებელია, – აღნიშნა გიორგი ერმაკოვმა.

## რომელია დედაქალაქის ყველაზე ძვირი და იაფი რაიონი

2016 წელს ქართული უძრავი ქონების ბაზარი მნიშვნელოვნად გაიზარდა (წინა წელთან შედარებით 20.2%-ით) და გაყიდვების რაოდენობამ 89.120 ერთეულს მიაღწია. პარალელურად, 37.5%-ით გაიზარდა თბილისის უძრავი ქონების ბაზარიც, რომლის წილმა ქვეყნის მასშტაბით უძრავი ქონების გაყიდვებში 38.6% შეადგინა. დედაქალაქში 2016 წელს 34.440 გაყიდვის ტრანზაქცია დაფიქსირდა, თვეებს შორის კი განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა დეკემბერი (3.593 ტრანზაქცია).

თბილისის გაუთვალისწინებლად, 2016 წელს ქართული უძრავი ქონების ბაზარი 11.3%-ით გაიზარდა. ამასთან, ქვეყნის რეგიონებს შორის უძრავი ქონების გაყიდვებში მაღალი წილით გამოირჩეოდა კახეთი (12.0%) და აჭარა (9.6%).

დედაქალაქის რაიონებს შორის უძრავი ქონების ბაზარზე დომინირებდა ვაკე, საბურთალო და სამგორი, რომელთა წილად ტრანზაქციების თითქმის ნახევარი მოდიოდა. 2016 წელს ყველაზე მეტი გაყიდვა ვაკეში (6.892 ერთეული, თბილისის გაყიდვების 20.0%) დაფიქსირდა, მეორე და მესამე ადგილებს კი, შესაბამისად, საბურთალო (5.909 ერთეული, 17.2%) და სამგორი (3.748 ერთეული, 10.9%) ინაწილებდნენ.

2016 წელს ახალი უძრავი ქონების მიწოდება (დასრულებული მშენებლობების რაოდენობა და მოცულობა) თბილისის უძრავი ქონების ბაზარზე მნიშვნელოვნად გაიზარდა:

ახალი შენობების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 42.7%-ით გაიზარდა და 765 ერთეული შეადგინა (604 საცხოვრებელი უძრავი ქონება, 161 კომერციული უძრავი ქონება).

ახალი შენობების მოცულობა წინა წელთან შედარებით 65.4%-ით გაიზარდა და 1.44 მილიონი კვ.მ შეადგინა (1.16 მილიონი კვ.მ საცხოვრებელი უძრავი ქონება, 0.28 მილიონი კვ.მ კომერციული უძრავი ქონება).

2016 წლის დეკემბერში საცხოვრებელი ქონების გაყიდვის ფასის ინდექსი წინა წელთან შედარებით 3.8%-ით შემცირდა, ხოლო ქირის ფასის ინდექსი 2.1%-ით გაიზარდა. ამასთან, 1 კვ.მ საცხოვრებელი უძრავი ქონების გაყიდვის საშუალო ფასმა 866 აშშ დოლარი, ხოლო ქირის საშუალო ფასმა 7.20 აშშ დოლარი შეადგინა.

2016 წელს კვლავ მთაწმინდა რჩებოდა დედაქალაქის ყველაზე ძვირ რაიონად როგორც გაყიდვის საშუალო ფასის (1.033 აშშ დოლარი), ისე ქირის საშუალო ფასის (8.37 აშშ დოლარი) მიხედვით; ყველაზე იაფი რაიონი გაყიდვის საშუალო ფასის მიხედვით იყო სამგორი (547 აშშ დოლარი), ხოლო ქირის ფასის მიხედვით – გლდანი (4.52 აშშ დოლარი).

დეკემბრის თვეში (წინა წელთან შედარებით) შემცირდა კომერციული ქონების გაყიდვის ფასის (11.7%-ით) და იჯარის ფასის (12.5%-ით) ინდექსები. ამასთან, 1 კვ.მ კომერციული უძრავი ქონების გაყიდვის საშუალო ფასი 1.087 აშშ დოლარის, ხოლო იჯარის საშუალო ფასი – 10.28 აშშ დოლარის დონეზე დაფიქსირდა.

**ნიუპოსტი**

# ვახტანგ მაისაია: „სტრასბურის სასამართლოზე გავლენა შეიძლება მოეხდინა საელჩოების შეშფოთებას“

გულიკო ბალაძე

**ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ რუსთავი 2-თან დაკავშირებით სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება საქართველოს სასამართლო ხელისუფლებისადმი უნდობლობის გამოხატულება იყოს.**

**ვახტანგ მაისაია:**

– სტრასბურის სასამართლოში ჩემი სარჩელიც არის. ჩემს შემთხვევაში ადგილი ჰქონდა წამებას, რაც პრიორიტეტული მიმართულებაა. 2015 წელს პროცესი დაიძრა, განხილვის წინა სტადია გავიარეთ. სარჩელის განხილვა მოხდა ორივე მხარესთან, დისკუსია გაიმართა. ჩვენს სარჩელზე საკმაოდ მოკლე დროში მოახდინა რეაგირება, რადგან წამებასა და ადამიანის უფლებების ყველაზე მაღალი დონის შებღალვას ეხებოდა. საუბარი იყო ციხეში მკვლელობის ორგანიზებაზე, რომელიც არ გამოიძიეს საქართველოში (გამოძიება იყო შეჩერებული).

სტრასბურმა საქმე განიხილა საკმაოდ მოკლე ვადებში, მაგრამ წელიწადნახევარია, საბოლოო გადაწყვეტილებას ველოდებით. სტრასბურის სასამართლოში ჩემნაირი სარჩელები მრავლადაა და ეხება წამებას, არაადამიანურ მოპყრობას. დღესაც ამ სარჩელების განხილვა ბიუროკრატიული თუ სხვა მიზეზით, ფერხდება და რეაგირება არ ხდება.

***– რუსთავი 2-თან დაკავშირებით სწრაფი გადაწყვეტილება რით შეიძლება აიხსნას?***

– მათ სარჩელში შეიძლება საუბარი იყო სიტყვის თავისუფლებასა ან არასამართლიან სასამართლოზე. თუმცა, გაუგებარია, ასეთი სიჩქარე რით იყო განპირობებული არა სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ სარჩელთან დაკავშირებით, რომელზეც უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება. არც ერთ მოსამართლეს განსხვავებული აზრი არ გამოუთქვამს.

***– სტრასბურის გადაწყვეტილება ქვეყნის სასამართლო ხელისუფლების მიმართ გამოხატულ უნდობლობასა ხომ არ ნიშნავს?***

– თუ ამ მხრივ გავაკეთებთ ინტერპრეტირებას, როგორც ჩანს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას უნდობლობას უცხადებს. ნებისმიერი ადამიანი სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილების ასეთ ინტერპრეტაციას გააკეთებდა.

***– კითხვის ნიშანი რა კუთხით ისმება?***

– კითხვის ნიშანი რჩება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოახერხა ერთი დღის განმავლობაში მორიგე მოსამართლემ 48 ტომისგან შემდგარი საქმის წაკითხვა და ამ უფლების გამოყენება. ეს საინტერესო მომენტია, რადგან ერთი-ორი ან სამი დღის შემდეგ რომ მიელო გადაწყვეტილება, ლოგიკა შეიძლებოდა ყოფილიყო. ასეთი ტიპის საქმეები სტრასბურში სოლიდური დოკუმენტების თანხლებით იგზავნება. ორი დღის შემდეგ კი შეიკრიბა სასამართლო და სანქციის ვადა გააგრძელა.

***– რა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს განცხადებებს, რომ სასურველი შედეგის მისაღწევად სტრასბურის სასამართლოში ნაცმოძრაობამ გარკვეული გავლენები გამოიყენა?***

– სტრასბურის სასამართლოზე, როგორც ჩანს, გავლენა მოახდინა საელჩოების მიერ გამოთქმულმა შეშფოთებამ. გაკეთდა განცხადება ამერიკის საელჩოს, „ჰუმან რაით ვოტჩის“ მხრიდან. მაგალითად, ჩვენ საქმეში, რომელიც წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას ეხება, დიდი როლი ითამაშა გაეროს წამების კომიტეტის, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სხვა, საკმაოდ წონიანი საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებმა. სტრასბურის სასამართლო ასეთ გამოხმაურებებს, პირველ რიგში, ითვალისწინებს.

***– საუბარია სტრასბურის სასამართლოში მყოფი ქართველი მოსამართლის გავლენაზეც, რომელიც ადეიშვილის კადრია. შეიძლება გავლენა ჰქონოდა ძველ მოსამართლე წოწორიას?***

– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ევროსასამართლოში გაგზავნილი სარჩელების დაბლოკვა ხდებოდა (ბევრმა გააგზავნა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ და ზოგი საქმე იბლოკებოდა, ზოგი საქმის განხილვა ფერხდებოდა), რა თქმა უნდა, ლობისტური ქმედება მოქმედებს. ლობიზმი ჯერ არავის გაუუქმებია, სამწუხაროდ.

სტრასბურში ბევრი მოსამართლეა. მათმა დიდმა ნაწილმა შეიძლება არც იცის, საქართველოში როგორი სიტუაციაა. ამიტომ თუ რამე საკითხია გასარკვევი, ეკითხებიან საქართველოდან წარგზავნილ მოსამართლეს, რომელმაც იცის, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში.

***– ანუ გადაწყვეტილების მიღებისას აქედან მივლინებულ მოსამართლესაც ეკითხებიან?***

– ბუნებრივია, მე შემიძლია გითხრათ ერთი ფაქტი – როდესაც სამხედრო აკადემიაში ვსწავლობდი, კურსანტების დამამთავრებელ ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად ჯონ მალხაზ შალიკაშვილი ჩამოვიდა. აკადემიის თანამშრომლებთან შეხვედრაზე მე დავუსვი კითხვა, რომ ბატონი ჯონ შალიკაშვილი იყო ქართული წარმოშობის და შალიკაშვილმაც დაადასტურა, რომ ის წარმოშობით ქართველი იყო, მას შემდეგ ბევრი დაინტერესდა საქართველოთი, რიგი იყო, რომ ამაზე ესაუბრათ.



განსაკუთრებით ასეთ საქმეში, როდესაც ევროპელ მოსამართლეს უწევს საქმის განხილვა, არ ვიცი, იქ პროცედურები როგორია, მაგრამ შიდა სამზარეულოში, ალბათ, თავის ქართველ კოლეგას ეკითხებიან.

## უჩა ნანუაშვილი: „სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება დაგვიანებული იყო“



სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილის შეფასებით, ბათუმში განვითარებული მოვლენებისას სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება დაგვიანებული იყო.

როგორც ნანუაშვილმა 12 მარტს პრესკონფერენციაზე განაცხადა, შესაძლებელი იყო აქციის განმუხტვა მის საწყის ეტაპზეც კი, თუმცა ხელისუფლებამ პროცესების მართვა ვერ შეძლო.

– ჩვენ მთელი ღამის განმავლობაში ვნახეთ სიტუაცია, როდესაც მოსახლეობას ჰქონდა დაუცველობის განცდა მთელი საათის განმავლობაში. სწორედ ამიტომაც ვფიქრობთ, რეაგირება, რომელიც სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებმა განახორციელეს, იყო დაგვიანებული. ასევე, ვსაუბრობთ იმაზე, რომ მსგავსი კრიზისების პრევენცია უნდა მოხდეს და შესაბამისი სამსახურები უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული მსგავსი კრიზისების განმუხტვის გეგმაში, რაც შაბათს ვერ დავინახეთ, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

მისივე თქმით, მნიშვნელოვანია გადამოწმდეს ყველა ინფორმაცია, რომელზეც დემონსტრანტები საუბრობდნენ და გამოძიებული იყოს, იყო თუ არა ეს ხელოვნურად მართული პროცესი.

– პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების შესახებ ჩვენ ვსაუბრობდით არაერთხელ. საუბარი იყო კონკრეტულ ფაქტებზე, მათ შორის, ბათუმში და განსაკუთრებით ქობულეთში, – განაცხადა საქართველოს სახალხო დამცველმა.

**ინტერპრესნიუსი**

## გიორგი მღებრიშვილი: „40 ადამიანიდან ადმინისტრაციული წესით დაკავებულია 7 პირი, დანარჩენები ხელწერილით გათავისუფლდნენ“

– 40 ადამიანიდან ადმინისტრაციული წესით დაკავებულია 7 პირი, დანარჩენები ხელწერილით გათავისუფლდნენ გამოძიება მიმდინარეობს, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და უმკაცრესად დაისჯებიან ამ ვანდალიზმში მონაწილე პირები, – ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა განაცხადა.

ჟურნალისტის კითხვაზე, თუ კანონს არღვევდნენ, რატომ არ მოუწოდეს მომიტინგეებს, დაშლილიყვნენ, გიორგი მღებრიშვილმა განაცხადა, რომ ისინი არაერთხელ გააფრთხილეს, თუმცა მოწოდებას არ დაემორჩილნენ.

– თქვენ იცით, რომ მომიტინგეებს პრემიერ-მინისტრმაც მიმართა. რა თქმა უნდა, ჩვენც მივმართეთ, რომ დაშლილიყვნენ. ჩვენი მხრიდან მაქსიმალური შეღავათები გავაკეთეთ იმისთვის, რომ მოვლენები ასე არ განვითარებულიყო. მე დამიკავშირდა აჭარის მთავრობის ხელმძღვანელი და მთხოვა დაკავებული პირების გათავისუფლება და მე ეს თხოვნა შევასრულე.

მიუხედავად ამისა, მომიტინგეები არ წყვეტდნენ შტურმს პოლიციის შენობაზე და ჩვენ დილის 5 საათისკენ იძულებული გავხდით გადავსულიყავით ღონისძიებაზე.

მანამდე დაახლოებით 600 ადამიანამდე იყო შეკრებილი პოლიციის წინ. ჩვენ ოპერატიული ინფორმაცია გაგვაჩნდა, რომ იქ ძირითადად იმყოფებოდნენ ცნობისმოყვარე ადამიანები და ცნობისმოყვარეობამ მოიყვანა ბათუმელები პოლიციის შენობის მიმდებარედ. ხოლო ის, ვინც აპროტესტებდა, დაახლოებით 100-150 ადამიანი იყო, – განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

შს მინისტრის თქმით, ბათუმში მომხდარი მოვლენების დროს სამართალდამცველების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაზე ზედმეტია საუბარი. მისივე განცხადებით, საუბარი უნდა იყოს იმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხზე, ვინც ეს ყველაფერი მოაწყო.

– კიდევ ერთხელ ვიმეორებ, უმკაცრესად დაისჯება ყველა ის ადამიანი, ვინც ამაში მონაწილეობდა. მიმდინარეობს იდენტიფიცირება ამ პირების. თქვენ იცით, რომ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და დაწყებულია გამოძიება. ჯერჯერობით ადმინისტრაციული წესით არის



დაკავებული 7 პიროვნება, რომელთაც შეეფარდათ ადმინისტრაციული პატიმრობა.

დაკავებული 40 ადამიანიდან დანარჩენები გათავისუფლებული არიან ხელწერილით, მაგრამ მათ მიმართ ადმინისტრაციული წარმოება მაინც გრძელდება და ისინი სასამართლოს წინაშე აუცილებლად წარდგებიან. ჩვენ გამოძიების შედეგებს უნდა დაველოდოთ, – განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

ბუნებრივი წამალი სასწაულებს ახდენს

საქართველოში სახელგანთქმულ ქალბატონს, ეთერ კიკვილაშვილს, ყველა კარგად იცნობს როგორც უძლიერეს მკურნალს, რომელმაც თითქმის დაამარცხა მძიმე დაავადებები. იგი ტელევიზიით გადმოსცემდა თავის უნიკალურ ბუნებრივი წამლებით მორჩენილ ავადმყოფთა სიას. მეც მივენდე ქალბატონ ეთერს. მკერდზე მქონდა კისტა, დავლიე მისი უებარი წამალი და შედეგიც სახეზე მაქვს.

**მქონდა** ლიმფური ჯირკვლის დაავადება, რომელიც მალე სიმსივნეში გადაიზრდებოდა. ჩავიტარე სამთვიანი კურსი და სულ გამიქრა. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, ქალბატონო ეთერ. თქვენი წამალი საქართველოში ერთადერთია, რომელმაც საზღვრების გარეთაც გაითქვა სახელი და დიდი მოთხოვნა არის.

**ლია:** მქონდა ლიმფოგრამულომატოზი. ეს ვერაგი დაავადება მედიცინის წამლებით ვერ მოვირჩინე. ვიმკურნალე ეთერისთან. თითქმის ვსვამ მეორე წელია და ვარ შესანიშნავად.

დიდი მადლობა ამ სიხარულისთვის ეთერ.

ჩემს შვილს ჰქონდა კუჭის წყლული, რამაც უკვალოდ გაიარა. იგი კურნავს ბევრ დაავადებას, რომლებსაც მედიცინა ვერ უმკლავდება. მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: ჩიყვს, პროსტატას, სისხლძარღვთა დაავადებებს. მისი წამალი შესანიშნავად წმენდს სისხლს, მკურნალობს განგრენას, კურნავს ბუასილს, ნაწოლებს, მე ბევრს ვერ ჩამოვთვლი. ჯობია თქვენ თვითონ დაუკავშირდეთ მას, არ ინანებთ. მის ბუნებრივ წამალს არ გააჩნია უკუჩვენება. პროფილაქტიკისთვის ხომ შესანიშნავია.

**მანანა:** მქონდა მკერდზე ჯირკვალი და ძალიან მეშინოდა. ვიმკურნალე ეთერისთან და სულ გამიქრა. თქვენ გაიხარეთ, ქალბატონო ეთერ. თქვენ ხართ სასწაულმოქმედი მკურნალი 21-ე საუკუნეში. მე იტალიაში გავაგზავნე თქვენი წამალი და დიდი მადლობა გამოგიგზავნეს იტალიიდან. დიდხანს იცოცხლეთ ჩვენს საკეთილდღეოდ.

მისი ტელეფონია: 269-17-37
მობ.: 599-96-44-63

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# შოტლანდია დამოუკიდებლობის რეფერენდუმს ჩაატარებს




შოტლანდიამ შესაძლოა დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმი კიდევ ერთხელ ჩაატაროს. ამის შესახებ განცხადება შოტლანდიის პირველმა მინისტრმა ნიკოლა სტარჯენმა გააკეთა.

ამის მიზეზი ბრიტანეთის ევროკავშირიდან შესაძლო გასვლა, ანუ ბრექსიტია. შოტლანდიაში მოსახლეობის 62%-მა ევროკავშირში დარჩენას დაუჭირა მხარი, მაგრამ ბრიტანეთი მაინც აპირებს ევროკავშირიდან გასვლას, ამიტომ, სტარჯენის აზრით, რეფერენდუმის ჩატარება აუცილებელია.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტერეზა მეის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ ჯერჯერობით უცნობია, რადგან მას ოფიციალურად კომენტარი არ გაუკეთებია. შოტლანდიაში დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმი ერთხელ უკვე ჩატარდა და ეს 2014 წელს მოხდა.

მაშინ შოტლანდიელთა 55%-მა ბრიტანეთში დარჩენის სურვილი გამოთქვა. ნიკოლა სტარჯენის აზრით, ამჯერად რეფერენდუმის შედეგები სხვანაირი იქნება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

# ესპანეთის მეფე და დედოფალი ელისაბედ II-მ მიიწვია



ესპანეთის მეფემ და დედოფალმა დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-გან სახელმწიფო ვიზიტის მიწვევა მიიღეს. ამ ინფორმაციას სამეფო ოჯახის ტვიტერი ავრცელებს. ფილიპე VI-სა და მისი მეუღლის ლეტისიას გამგზავრება დიდ ბრიტანეთში მიმდინარე წლის ივნისისთვისაა დაგეგმილი.

1986 წელს ბრიტანეთს ვიზიტით ეწვია ესპანეთის ამჟამინდელი მონარქის მამა ხუან კარლოს I, ხოლო 1988 წელს საპასუხო ვიზიტით მადრიდში იყო ჩასული ელისაბედ II.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფილიპე VI და ლეტისია ბრიტანეთში ვიზიტის დროს ბუკინჰემის სასახლეში იცხოვრებენ. ვიზიტის პროგრამა ჯერჯერობით უცნობია.

ადრე ცნობილი იყო, რომ ესპანეთის მეფე და მისი მეუღლე ბრიტანეთში 2016 წლის მარტში უნდა ჩასულიყვნენ, მაგრამ ვიზიტამდე ერთი თვით ადრე მისი გადადება გახდა საჭირო, რაც ესპანეთში პოლიტიკური ვითარებით იყო გამოწვეული.

# აშშ-ში სამი წლის გოგონა ჰოვერბორდის აფეთქებას ემსხვერპლა



ამერიკის ქალაქ გარისბერგში, რომელიც პენსილვანიის შტატში მდებარეობს, სამი წლის გოგონა ხანძრის შედეგად დაიღუპა, რომელიც სახლში ჰოვერბორდის აფეთქებამ გამოიწვია.

მოწყობილობა სახლის პირველ სართულზე დასატენად იყო შეერთებული, სადაც აფეთქების მომენტში სამი გოგონა იმყოფებოდა. ბატარეის აალების შედეგად ცეცხლი მთელ სახლს მოედო. სამი წლის გოგონა მიღებული ტრავმების შედეგად დაიღუპა. დანარჩენი ორი დაშავებული ბავშვი მძიმე მდგომარეობაში ქალაქის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება.

გამომძიებელ აშანტი ჰიუზის ინფორმაციით, დადგენილია, რომ გოგონა უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა. როგორც სახანძრო სამსახურის ხელმძღვანელმა ბრაინ ენტერლაინმა განაცხადა, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ხანძრის მიზეზად ჰოვერბორდი იქცა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# „ძირს ლუკაშენკო!“



## ბელარუსში აქციები დაიწყო

უკანასკნელ ხანს ბელარუსში სოციალური მდგომარეობა გაუარესდა. მიზეზი მარტივია: რუსეთი სირიისა და უკრაინის ომებში გაეხვია და ბელარუსის შენახვისათვის სახსრები აღარ ჰყოფნის. ბელარუსში გაიზარდა უმუშევრობა, რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია.

ლუკაშენკოს უკანასკნელმა განკარგულებამ ცეცხლზე ნავთი დაასხა. ამ ბრძანებულებით, ყველა უმუშევარს გადასახადის გადახდა დაეკისრა. რესპუბლიკაშიც საპროტესტო ტალღა აზვირთდა.

მასობრივი აქციები მოეწყო როგორც მინსკში, ასევე ორშაში, ბობრუისკში, ბრესტში, გროდნოში და ა.შ. სოციალურ ლოზუნგებს (მოგვეცით სამუშაო, გააუქმეთ გადასახადი უმუშევრობაზე) პოლიტიკურიც მოჰყვა: ძირს ლუკაშენკო! მოვითხოვთ რუსეთთან კავშირის გაწყვეტას და ა.შ.

ლუკაშენკომ ცადა ძალისმიერი მეთოდებით აქციების ჩახშობა. შედეგი საპირისპირო გამოდგა. მოსახლეობამ პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია, საპროტესტო აქციების მასშტაბები გაიზარდა. ლუკაშენკო იძულებული გახდა, უკან დაეხია.

მან ტელემიმართვაში განაცხადა, რომ მოსახლეობას უფლება აქვს, ხელისუფლება გააკრიტიკოს და პროტესტი საჯაროდ გამოხატოს.

— კრიტიკის არასოდეს მეშინოდა. პირიქით, გთხოვთ, გემუდარებით, გამაკრიტიკეთ! — თქვა ლუკაშენკომ და დაუმატა, რომ უმუშევრობის გადასახადი გაუქმებული იქნება.

— სათანადო ბრძანებულებას უკვე ხელი მოვაწერე, — თქვა ბელარუსის პრეზიდენტმა.

მიუხედავად ამისა, აქციები არ ცხრება. გამოსვლები გრძელდება როგორც მინსკში, ასევე ბობრუისკში, მოლოდეჩნოეში და ა.შ.

ბელარუსის პოლიციამ ყოველივე პროვოკატორების მოქმედებით ახსნა. სიტყვას საქმეც მოჰყვა. პოლიციამ დააპატიმრა ბელარუსის დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერები ლებედკო, რომაშევსკი, კოვალკოვა და გუბარევიჩი.

საპროტესტო აქციები კი მაინც არ ცხრება.

დაპირისპირება ლუკაშენკოსა და ხალხს შორის იზრდება.

# ასადი იმუქრება



სირიის დიქტატორმა ბაშარ ასადმა განაცხადა, რომ დამასკოს ტერაქტის ორგანიზატორები სასტიკად დაისჯებიან.

— ჩვენ მათ გავანადგურებთ, ტერორიზმის ბუდე რაქას კი პირისაგან მიწისა აღვგვით, — აცხადებს ასადი.

დამასკოს ტერაქტზე პასუხისმგებლობა აიღო ისლამურმა დაჯგუფებამ, რომელიც ალ-ქაიდასთანაა დაკავშირებული.

— სანამ ასადს არ გავუსწორდებით, ტერაქტები არ შეწყდება, — ნათქვამია დაჯგუფების განცხადებაში.

# დანიის პრემიერმა თურქ პრემიერთან შეხვედრაზე უარი განაცხადა



თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანის მიერ ნიდერლანდების აუგად მოხსენიებამ ევროპის მრავალ ქვეყანაში აღშფოთება გამოიწვია.

დანიის პრემიერმა რასმუნსენმა თავის თურქ კოლეგა ილდიმირთან შეხვედრაზე უარი სწორედ ამ მიზეზით განაცხადა.

— ჰოლანდია ნატოში თურქეთის პარტნიორია, პარტნიორებთან კი ასეთი ტონით არ ლაპარაკობენ, — ამბობს რასმუნსენი.

ჰოლანდია-თურქეთს შორის გართულებული ურთიერთობა ანკარაში გამართული საპროტესტო აქციის მიზეზი გახდა. ჰოლანდიის საელჩოსთან მანიფესტანტები შეიკრიბნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ჰოლანდიის დროშა ჩამოხსნა და მის ნაცვლად თურქული გამოკიდა.

გერმანიის ფინანსთა მინისტრმა ვოლფგანგ შოიბლემ განაცხადა, რომ ერდოღანის საქციელი გერმანია-თურქეთს შორის თანამშრომლობას პრობლემებს უქმნის.

უფრო ხისტია გერმანიის შს მინისტრ დე მეზერის განცხადება.

— ერდოღანმა დაშვებულის ზღვარს გადააჭარბა! — თქვა მან.

# იაპონიამ მალაიზიას კიმ ჩენ ნამის თითების ანაბეჭდები გადასცა



იაპონიის ხელისუფლებამ მალაიზიას კიმ ჩენ ნამის თითების ანაბეჭდები გადასცა.

ისინი იაპონიაში 2001 წლიდან ინახებოდა. როცა კიმ ჩენ ნამი ყალბი პასპორტით იაპონიის ტერიტორიაზე შესვლას შეეცადა, ის პოლიციამ დააკავა. გარკვეული პროცედურების გავლის შემდეგ კიმ ჩენ ნამი ქვეყნიდან გააძევეს.

იაპონიის ხელისუფლება აქამდე კიმ ჩენ ნამის მკვლელობის გამოძიებაში არ ერეოდა. თითების ანაბეჭდების გადაცემა მკვლელობის საქმეში იაპონელთა პირველი სერიოზული დახმარებაა.

# როდის შედგება ტრამპისა და პუტინის შეხვედრა?



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ პუტინ— ტრამპის შეხვედრის დრო კვლავაც გაურკვეველია.

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთ-აშშ-ს შორის რიგი უთანხმოება არსებობს. უწინარეს ყოვლისა, ესაა სირია და უკრაინა.

— შეხვედრა შეხვედრისთვის არავის სჭირდება! ჩვენ კონკრეტულ შედეგებს მოველით, — აცხადებს ლავროვი

პუტინის თანაშემწე პესკოვმა გამოთქვა იმედი, რომ ტრამპი და პუტინი ერთმანეთს ივლისში შეხვდებიან. ამავე დროს, დაამატა, რომ ეს მხოლოდ მისი პროგნოზია.

— ამერიკელებთან ინტენსიურად ვმუშაობთ. ჯერჯერობით მეტის თქმა არ შემიძლია, — ამბობს პესკოვი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

## მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09, 295-40-58 ჯემალი.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# თუშიშვილის პირველი ოქრო

საქართველოს ძიუდოისტებმა 4 მედლით დაასრულეს გამოსვლა ბაქოს გრან სლემზე. 1 ოქრო და 3 ბრინჯაო – ასეთია ირაკლი ცირეკიძის გუნდის ნადავლი. ჩემპიონი მძიმეწონოსანი გურამ თუშიშვილი გახდა. ამავე წონაში ბრინჯაო ონისე ბუღაძემ მოიპოვა, მასავით კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე კი ლაშა გიუნაშვილი (66) და უშანგი მარგიანი (90) ავიდნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს მამაკაცთა ნაკრებმა, რომელიც გადახალისებული შემადგენლობით იყო ჩასული ბაქოში, მე-3 ადგილი დაიკავა.

ბაქოს გრან სლემის ჩემპიონობით გურამ თუშიშვილმა 1.000 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა და მსოფლიოს რეიტინგში 49-ე ადგილიდან დაახლოებით 30-საფეხურიანი დაწინაურება გაინაღდა.

5 წუთი და 59 წამი დასჭირდა 22 წლის თუშიშვილს 4 შეხვედრის მოსაგებად. ჭაბუკებს შორის მსოფლიოს, ხოლო ახალგაზრდებში ევროპის ორგზის ჩემპიონმა, ამ რანგის შეჯიბრებაზე სულ მეორედ იჭიდავა. გასულ თვეში, პარიზის გრან სლემზე საპრიზო სამეულამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა. მეორე ცდა გაცილებით შთამბეჭდავი და შედეგიანიც გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ ბაქოს ტურნირი ისეთი წარმომადგენლობითი არ იყო, როგორიც პარიზის, თუშიშვილის წარმატებას სულაც არ აკნინებს.

ფინალამდე თუშიშვილმა 3 შეხვედრა ჩაატარა და სამივე იპონით მოიგო. პირველ წრეში, აზერბაიჯანელ აიხან ჯაფაროვს პირველივე შეტევით სძლია – მე-20 წამზე ხელის მტკივნეულით დაამარცხა. მეოთხედფინალში პირველ ნომრად განთესილ ბრაზილიელ რაფაელ სილვას დაეჭიდა და ულამაზესი კისრულით ჩამოაშორა ოქროსკენ მიმავალ გზას. ასევე სუფთა გდებით, სულ რაღაც წუთსა და 6 წამში აჯობა ნახევარფინალში, აზერბაიჯანის ნაკრების წევრ უშანგი კოკაურს.

ფინალში კი მეორე ნომრად განთესილ უნგრელ ბარნა ბორს 59 წამი აკმარა ოქროს კისრულის შესასრულებლად.



ბუღაძემ ძირითად ბადეში ბოსნიაჰერცეგოვინელი ჰარუნ სადიკოვიჩის იპონით ძლევის შემდეგ, გრან სლემზე მეორე ნომრად განთესილ უნგრელ ბარნა ბორთან ოქროს დროში, შიდოთი წააგო.

რეპეშაჟის ნახევარფინალში ბუღაძე ჰოლანდიელ როი მეიერს დაეჭიდა და ბეჭებზეც დასცა. გადამწყვეტ ბრძოლაში კი, უშანგი კოკაურს ვაზარით სძლია და ბრინჯაოს მედალთან ერთად 500 ქულაც გაინაღდა.

ბრინჯაოს მედალს დაეუფლა 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე უშანგი მარგიანიც, რომელიც ტურნირში მერვედფინალში ჩაება, იაპონელ იუსუკე კობაიაშისთან დაჭიდებით და ძლიერი მეტოქე უილეთო შეხვედრის მეოთხე წუთზე მსაჯს მესამედ გააფრთხილებინა. მეოთხედფინალში მარგიანმა ტურნირის მეორე ნომერ აზერბაიჯანელ მამადალი მეჰდიევთან იპონით დამარცხდა და რეპეშაჟის ნახევარფინალში გადაერთო, სადაც ესტონელ მატიას კუუსიკს წუთნახევარში სძლია მტკივნეულით.

გიუნაშვილმა გრანდ სლემი ყაზახ გაბიტ იასიმბეტოვთან წუთსა და 6 წამში შესრულებული ეფექტური სუფთა გდებით გახსნა. მომდევნო შეხვედრაში ტურნირზე პირველ ნომრად განთესილ აზერბაიჯანელ ნიჯათ შიხალიზადას დაეჭიდა და მესამე წუთის ბოლოს შებოჭვაზე მოჰყვა.

რეპეშაჟის ნახევარფინალში გიუნაშვილმა მონღოლ ხერლან განბოლდს ვაზარით სძლია. გადამწყვეტ შეხვედრაში კი მოლდოველ დენის ვიერუს ვაზარითვე აჯობა და ბრინჯაოს მედალთან ერთად 500 სარეიტინგო ქულაც გაინაღდა.

# ესპანეთში ქართველები აგებენ

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები



ესპანეთის საკალათბურთო უმაღლეს ლიგაში მარცხი განიცადა მორაბანკ ანდორამ, რომლის ლიდერებიც საქართველოს ნაკრების წევრები – გიორგი შერმადინი და ბექა ბურჯანაძე არიან. ქართველმა ლეგიონერებმა სტუმრად, მურსიასთანაც ულიდერეს ანდორელებს, თუმცა ეს მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა. მასპინძლებმა 77:53 გაიმარჯვეს.

ანდორელთაგან საუკეთესო შედეგი შერმადინმა დააფიქსირა, რომელმაც 24 წუთში 12 ქულა, 4 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 5-დან 3 ორქულიანი და 7-დან 6 საჯარიმო გამოიყენა, თუმცა, ასევე ბევრი – 6 შეცდომა დაუშვა.

მოედანზე 18 წუთი დაჰყო ბურჯანაძემ, რომლის მონაგარიც 9 ქულა და 2 მოხსნა იყო. ბექამ 4-დან 2 ორქულიანი და 5-ვე საჯარიმო ჩააგდო, 2 სამქულიანი კი გააცუდა.

ანდორას კვალზე ტურში მარცხი განიცადა თორნიკე შენგელიას ბასკონიამაც. ვიტორიელები სტუმრად აუტსაიდერ მანრესასთან 82:87 დამარცხდნენ.

შენგელია თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და ბასკური კლუბის რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო. თოკომ 23 წუთში 3-დან 2 ორქულიანი და 11-დან 8 საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი კი ააცილა და 12 ქულას 2 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება წაამატა.

11 მოგებითა და ამდენივე მარცხით ანდორა ცხრილში მე-8 ადგილზეა და მორიგ ტურში სარაგოსას უმასპინძლებს, ხოლო ბასკონია 16 მოგებითა და 7 მარცხით მე-4 ადგილზე იმყოფება და მომდევნო ტურში დაისვენებს.

# გეგუჩაძემ ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა დაასახელა



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ შეარჩია ის 24 ფეხბურთელი, რომლებიც 22 და 25 მარტს ევროშესარჩევი ციკლისთვის მზადების ფარგლებში ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს ისლანდიასთან. ორივე შეხვედრა თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება.

ნაკრებში გამოძახებულთა შორის ხუთი ლეგიონერია. 8 ფეხბურთელი საბურთალოდანაა, 4 – თბილისის დინამოდან და 3 – ლოკომოტივიდან, ხოლო თითო წარმომადგენელი ეყოლება ნაკრებში ტორპედოს, შუქურას, სიონსა და მერანს.

**სრული სია კი ასეთია:**

**მეკარეები:** ლაზარე კუპატაძე (საბურთალო), ბექა ქურდაძე (ლოკომოტივი), ლუკა გუგეშაშვილი (იაგელონია, პოლონეთი);

**მცველები:** გაგი მარგველაშვილი, ცოტნე ნადარაია (ორივე საბურთალო), აკაკი შულაია (მერანი), რომან ჩაჩუა (შუქურა), ანრი ჭიჭინაძე (ტორპედო), ლუკა ლოჩოშვილი (დინამო),ირაკლი კომახიძე (ლოკომოტივი);

**ნახევარმცველები:** გიორგი ზარია (დინამო), ლუკა ზარანდია (არკა, პოლონეთი), გურამ გიორბელიძე (სიონი), ვლადიმერ მამუჩაშვილი, სანდრო ალთუნაშვილი, ირაკლი ბიძინაშვილი, გიორგი ხარაიშვილი (ყველა საბურთალო), გიორგი კიკნაძე (ლოკომოტივი), გიორგი ჩაკვეტაძე (დინამო), ლევან მაჭარაშვილი (სტუმბრასი, ლიტვა);

**თავდამსხმელები:** გიორგი ბერიძე (ტრენჩინი, სლოვაკეთი), ბექა მიქელთაძე (დინამო), რომან ჭანტურია (ემპოლი, იტალია), ლუკა იმნაძე (საბურთალო).

შეგახსენებთ, რომ ევრო 2019-ის შესარჩევ ჯგუფში, რომელიც პირველ სექტემბერს დაიწყება, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეტოქეები დანია, პოლონეთი, ფინეთი, ლიტვა და ფარერები არიან. იქამდე გეგუჩაძის გუნდს კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი 12 ივნისს სტუმრად მონტენეგროს თანატოლთა გუნდთან.

# შედეგები

**12 მარტი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. თასი**

ტოტენჰემი-მილუოლი ... 6:0

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლივერპული-ბარნლი ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 27 | 21 | 3 | 3 | 57-20 | 66 |
| 2.ტოტენჰემი | 27 | 16 | 8 | 3 | 53-20 | 56 |
| 3.სიტი | 27 | 17 | 5 | 5 | 53-29 | 56 |
| 4.ლივერპული | 28 | 16 | 7 | 5 | 60-35 | 55 |
| 5.არსენალი | 26 | 15 | 5 | 6 | 55-31 | 50 |
| 6.მანჩესტერი | 26 | 13 | 10 | 3 | 39-22 | 49 |
| 7.ევერტონი | 28 | 13 | 8 | 7 | 47-30 | 47 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 28 | 11 | 7 | 10 | 36-37 | 40 |
| 9.სტოკი | 28 | 9 | 9 | 10 | 32-40 | 36 |
| 10.საუთჰემპტონი | 26 | 9 | 6 | 11 | 32-34 | 33 |
| 11.ვესტ ჰემი | 28 | 9 | 6 | 13 | 38-49 | 33 |
| 12.ბარნლი | 28 | 9 | 4 | 15 | 31-42 | 31 |
| 13.უოტფორდი | 27 | 8 | 7 | 12 | 33-47 | 31 |
| 14.ბორნმუთი | 28 | 8 | 6 | 14 | 40-54 | 30 |
| 15.ლესტერი | 27 | 7 | 6 | 14 | 30-45 | 27 |
| 16.სუონსი | 28 | 8 | 3 | 17 | 36-61 | 27 |
| 17.კრ.პალასი | 27 | 7 | 4 | 16 | 35-46 | 25 |
| 18.ჰალი | 28 | 6 | 6 | 16 | 26-54 | 24 |
| 19.მიდლსბრო | 27 | 4 | 10 | 13 | 19-30 | 22 |
| 20.სანდერლენდი | 27 | 5 | 4 | 18 | 24-50 | 19 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სოსიედადი-ბილბაო ... 0:2
დეპორტივო-ბარსელონა ... 2:1
სელტა-ვილიარეალი ... 0:1
რეალი-ბეტისი ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 26 | 19 | 5 | 2 | 69-27 | 62 |
| 2.ბარსელონა | 27 | 18 | 6 | 3 | 77-23 | 60 |
| 3.სევილია | 27 | 17 | 6 | 4 | 51-31 | 57 |
| 4.ატლეტიკო | 27 | 15 | 7 | 5 | 49-22 | 52 |
| 5.ვილიარეალი | 27 | 13 | 9 | 5 | 39-19 | 48 |
| 6.სოსიედადი | 27 | 15 | 3 | 9 | 42-38 | 48 |
| 7.ბილბაო | 27 | 13 | 5 | 9 | 34-30 | 44 |
| 8.ეიბარი | 26 | 11 | 6 | 9 | 42-37 | 39 |
| 9.ესპანიოლი | 27 | 10 | 9 | 8 | 39-38 | 39 |
| 10.ალავესი | 27 | 9 | 10 | 8 | 28-33 | 37 |
| 11.სელტა | 26 | 10 | 5 | 11 | 39-45 | 35 |
| 12.ლას პალმასი | 27 | 8 | 8 | 11 | 43-45 | 32 |
| 13.ვალენსია | 27 | 8 | 6 | 13 | 36-47 | 30 |
| 14.ბეტისი | 27 | 7 | 7 | 13 | 29-44 | 28 |
| 15.დეპორტივო | 27 | 6 | 9 | 12 | 31-42 | 27 |
| 16.მალაგა | 27 | 6 | 8 | 13 | 33-45 | 26 |
| 17.ლეგანესი | 27 | 6 | 7 | 14 | 22-41 | 25 |
| 18.გრანადა | 27 | 4 | 7 | 16 | 24-55 | 19 |
| 19.ხიხონი | 27 | 4 | 6 | 17 | 28-56 | 18 |
| 20.ოსასუნა | 26 | 1 | 7 | 18 | 27-64 | 10 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალმერია-უესკა ... 0:0
სევილია ბ-ხიმნასტიკი ... 2:2
რეუსი-ხირონა ... 1:2
კადისი-რაიო ... 1:0
ხეტაფე-ტენერიფე ... 2:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

შალკე0აუგსბურგი ... 3:0
ჰამბურგი-გლადბახი ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 24 | 18 | 5 | 1 | 60-13 | 59 |
| 2.ლაიპციგი | 24 | 15 | 4 | 5 | 43-25 | 49 |
| 3.დორტმუნდი | 24 | 12 | 7 | 5 | 53-27 | 43 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 24 | 10 | 12 | 2 | 45-25 | 42 |
| 5.ჰერტა | 24 | 12 | 4 | 8 | 32-26 | 40 |
| 6.აინტრახტი | 24 | 10 | 5 | 9 | 26-27 | 35 |
| 7.კიოლნი | 24 | 8 | 10 | 6 | 33-27 | 34 |
| 8.ფრაიბურგი | 24 | 10 | 4 | 10 | 31-41 | 34 |
| 9.გლადბახი | 24 | 9 | 5 | 10 | 30-33 | 32 |
| 10.ლევერკუზენი | 24 | 9 | 4 | 11 | 37-39 | 31 |
| 11.შალკე | 24 | 8 | 6 | 10 | 31-27 | 30 |
| 12.მაინცი | 24 | 8 | 5 | 11 | 33-40 | 29 |
| 13.აუგსბურგი | 24 | 7 | 7 | 10 | 23-33 | 28 |
| 14.ვოლფსბურგი | 24 | 7 | 5 | 12 | 22-34 | 26 |
| 15.ვერდერი | 24 | 7 | 5 | 12 | 31-44 | 26 |
| 16.ჰამბურგი | 24 | 7 | 5 | 12 | 24-46 | 26 |
| 17.ინგოლშტადტი | 24 | 5 | 4 | 15 | 23-41 | 19 |
| 18.დარმშტადტი | 24 | 4 | 3 | 17 | 17-46 | 15 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ნიურნბერგი-არმინია ... 1:0
კაიზერი-ჰაიდენჰაიმი ... 1:1
ზანდჰაუზენი-ფიურტი ... 1:1

**იტალია. სერია ა**

სასუოლო-ბოლონია ... 0:1
ინტერი-ატალანტა ... 7:1
ფიორენტინა-კალიარი ... 1:0
ნაპოლი-კროტონე ... 3:0
კიევო-ემპოლი ... 4:0
პესკარა-უდინეზე ... 1:3
პალერმო-რომა ... 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 28 | 23 | 1 | 4 | 58-19 | 70 |
| 2.რომა | 28 | 20 | 2 | 6 | 61-25 | 62 |
| 3.ნაპოლი | 28 | 18 | 6 | 4 | 65-30 | 60 |
| 4.ინტერი | 28 | 17 | 3 | 8 | 53-29 | 54 |
| 5,ლაციო | 27 | 16 | 5 | 6 | 47-29 | 53 |
| 6.ატალანტა | 28 | 16 | 4 | 8 | 43-33 | 52 |
| 7.მილანი | 28 | 15 | 5 | 8 | 41-32 | 50 |
| 8.ფიორენტინა | 28 | 12 | 9 | 7 | 45-37 | 45 |
| 9.სამპდორია | 28 | 11 | 8 | 9 | 35-33 | 41 |
| 10.ტორინო | 27 | 10 | 9 | 8 | 51-43 | 39 |
| 11.კიევო | 28 | 11 | 5 | 12 | 33-37 | 38 |
| 12.უდინეზე | 28 | 9 | 6 | 13 | 32-37 | 33 |
| 13.სასუოლო | 28 | 9 | 4 | 15 | 35-43 | 31 |
| 14.ბოლონია | 28 | 8 | 7 | 13 | 25-41 | 31 |
| 15.კალიარი | 28 | 9 | 4 | 15 | 36-58 | 31 |
| 16.ჯენოა | 28 | 7 | 8 | 13 | 30-42 | 29 |
| 17.ემპოლი | 28 | 5 | 7 | 16 | 15-43 | 22 |
| 18.პალერმო | 28 | 3 | 6 | 19 | 23-56 | 15 |
| 19.კროტონე | 28 | 3 | 5 | 20 | 21-48 | 14 |
| 20.პესკარა | 28 | 2 | 6 | 20 | 29-63 | 12 |

**იტალია. სერია ბ**

ნოვარა-პრო ვერჩელი ... 0:0
ტერნანა-ტრაპანი ... 2:1
ვიჩენცა-პიზა ... 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

სტ.ეტიენი-მეცი ... 2:2
ლიონი-ტულუზა ... 4:0
ლორიანი-პსჟ ... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 29 | 21 | 5 | 3 | 84-26 | 68 |
| 2.პსჟ | 29 | 20 | 5 | 4 | 58-20 | 65 |
| 3.ნიცა | 29 | 18 | 9 | 2 | 47-23 | 63 |
| 4.ლიონი | 28 | 16 | 2 | 10 | 59-32 | 50 |
| 5.მარსელი | 29 | 13 | 6 | 10 | 43-37 | 45 |
| 6.ბორდო | 29 | 11 | 10 | 8 | 37-36 | 43 |
| 7.სტ.ეტიენი | 29 | 10 | 11 | 8 | 33-24 | 41 |
| 8.გენგამი | 29 | 10 | 8 | 11 | 37-36 | 38 |
| 9.რენი | 29 | 9 | 11 | 9 | 28-33 | 38 |
| 10.ნანტი | 29 | 10 | 7 | 12 | 27-43 | 37 |
| 11.ტულუზა | 29 | 9 | 9 | 11 | 32-33 | 36 |
| 12.ანჟე | 29 | 10 | 6 | 13 | 28-38 | 36 |
| 13.მონპელიე | 29 | 8 | 9 | 12 | 42-49 | 33 |
| 14.ლილი | 29 | 9 | 6 | 14 | 29-37 | 33 |
| 15.კაენი | 29 | 9 | 5 | 15 | 31-48 | 32 |
| 16.მეცი | 28 | 8 | 8 | 12 | 28-53 | 32 |
| 17.დიჟონი | 29 | 6 | 10 | 13 | 38-46 | 28 |
| 18.ნანსი | 29 | 7 | 7 | 15 | 19-37 | 28 |
| 19.ბასტია | 29 | 5 | 10 | 14 | 24-43 | 25 |
| 20.ლორიანი | 29 | 6 | 4 | 19 | 29-59 | 22 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ტილბურგი-ზვოლე ... 2:0
როდა-გრონინგენი ... 3:1
ფეინოორდი-ალკმაარი ... 5:2
აიაქსი-ტვენტე ... 3:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბოავიშტა-მარიტიმუ ... 3:0
რიუ ავე-მორეირენშე ... 3:2
გიმარაეში-ეშტორილი ... 3:3

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ამკარი-ზენიტი ... 1:0
სპარტაკი-ანჟი ... 1:0
როსტოვი-ტერეკი ... 0:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-რეინჯერსი ... 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლოზანა-იანგ ბოიზი ... 0:0
თუნი-ლუგანო ... 5:2
სიონი-ბაზელი ... 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

შტურმი-რაპიდი ... 2:1

**ბელგია.**

**1 დივიზიონი**

ანდერლეხტი-ბევერენი ... 3:0
ბრიუგე-სტ.ტრუიდენი ... 2:2
ვესტერლო-გენკი ... 0:4
გენტი-მეხელენი ... 3:0
კორტრაიკი-მუსკრონი ... 0:2
ლოკერენი-შარლერუა ... 0:0
სტანდარდი-ოსტენდე ... 2:2
ეუპენი-ვარეგემი ... 1:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

კერკირა-ქსანთი ... 1:0
ოლიმპიაკოსი-ატრომიტოსი ... 2:0
პლატანიასი-ვერია ... 1:0
აეკი-პაოკი ... 3:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქონია-ბაშაქშეჰირი ... 0:3
ბეშიქთაში-ქაისერი ... 2:2
რიზე-ანტალია ... 1:2

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ბოლესლავი-სპარტა ... 1:0
სლავია-ტეპლიცე ... 2:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლენჩნა-პოგონი ... 2:2
ლეგია-ვისლა ... 1:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ზვეზდა-დინამო ... 2:0
ზორია-შახტარი ... 1:2

**დანია. სუპერლიგა**

ოდენსე-სონდერიისკე ... 0:1
ჰორსენსი-ბრონდბიუ ... 0:2
კოპენჰაგენი-ესბიერგი ... 2:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როგორია ორთოდონტიული მკურნალობა სასისა და ტუჩის ნაპრალის მქონე ბავშვებში

ეკა ირემაშვილი

სასისა და ტუჩის ნაპრალით დაბადებული ბავშვების რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ასეთი პაციენტები საჭიროებენ ხანგრძლივ და მრავალეტაპიან ჩარევას, როგორც ორთოდონტიულს, ასევე ქირურგიულს.

როგორია ორთოდონტიული მკურნალობა სასისა და ტუჩის ნაპრალის მქონე ბავშვებში, ამ თემაზე კლინიკა „ნინო ბერიძის ორთოდონტიული ცენტრის" ექიმი-ორთოდონტი ანა მეტრეველი გვესაუბრება.

**ანა მეტრეველი:**

– სასისა და ტუჩის ნაპრალით დაბადებული ბავშვების რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ასეთი პაციენტები საჭიროებენ ხანგრძლივ და მრავალეტაპიან ჩარევას, როგორც ორთოდონტიულს, ასევე ქირურგიულს.

კლასიფიკაციის მიხედვით არსებობს: ტუჩის ნაპრალი, ალვეოლური მორჩის ნაპრალი, მაგარი და რბილი სასის ნაპრალი. ისინი შეიძლება იყოს სრული და არასრული, ცალმხრივი და ორმხრივი, ზოგჯერ შეიძლება იყოს დაფარული.

***– როგორია თანდაყოლილი ნაპრალი და როგორია შეძენილი?***

– ნაპრალი არსებობს თანდაყოლილი და შეძენილი. შეძენილი ფორმისთვის დამახასიათებელია უფრო რთული კლინიკური სურათი. ცალმხრივი ნაპრალი ორჯერ უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ორმხრივი და მათ შორის მარცხენა მხრივი დომინირებს. სასის ნაპრალი უფრო ხშირია ბიჭებში.

შეძენილი ნაპრალების წარმომავლობა პოლიეტიოლოგიურია. მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ეგზოგენური, ისე ენდოგენური: გარემოს ქიმიური დაბინძურება, რადიაცია, ორსული ქალის მუშაობა მაღალი ტემპერატურისა და ვიბრაციის გარემოში. ასევე ნაპრალების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს მედიკამენტების მიღება ორსულობისას, ჰიპოქსია, მძიმე ფიზიკური შრომა, არასრულფასოვანი კვება, ვირუსული დაავადებები – გრიპი, წითელა, ნაყოფის მოცილების მცდელობა, ვიტამინების ნაკლებობა.

***– რა როლს თამაშობს შიში და სტრესი?***

– კვლევებმა აჩვენა, რომ სტრესს და შიშს მივყავართ ამგვარი პათოლოგიების განვითარებამდე. ხშირია ნაპრალიანი ბავშვების დაბადება ასაკში მყოფ ქალებში.

ნაპრალის ჩამოყალიბება ხდება ორსულობის 4-6 კვირაზე, როდესაც არ ხდება ზედა ყბის ბორცვების ან სასის წანაზარდების, ყბათაშორისი ძვლის, ალვეოლური მორჩების შეერთება. ასევე შეიძლება განვითარდეს უფრო მოგვიანებით, შეხორცებული ფრაგმენტების გახლეჩვის ხარჯზე. შემთხვევათა 15% ზედა ყბის ნაპრალი თანხვედრაშია სხვა ორგანოების განვითარების მანკებთან.

***– რა გართულებები შეიძლება გამოიწვიოს ამან?***

– ზედა ყბის არასრულფასოვან ზრდას და მიმაგრებას თავის ქალასთან მივყავართ თანკბილვის დარღვევამდე, როგორც საგიტალურ და ტრანსვერსალურ, ასევე ვერტიკალურ სიბრტყეებში. ამ დროს ქვედა ყბის ზომა და მდებარეობა შეიძლება იყოს ნორმის ფარგლებში.

სასის ორმხრივი ნაპრალის დროს საჭრელი ძვალი მოძრავია და გამოწეულია წინ. ალვეოლური მორჩის გვერდითი ფრაგმენტები წინა ნაწილები გადმონაცვლებულია სასისკენ, რის გამოც საჭრელი ძვლისთვის ადგილი საკმაოდ მცირეა.

ზედა ტუჩის ნაპრალის დროს

ანა მეტრეველი



აღინიშნება მისი ზომისა და ფორმის ცვლილებები, რასაც მივყავართ ტუჩის არასრულფასოვან ფუნქციონირებამდე. ასეთ ბავშვებს ზედა ტუჩის მოძრაობა შეზღუდული აქვთ, ასევე აღინიშნება მოკლე კარიბჭე. სასის ნაპრალის დროს განუვითარებელი რჩება რბილი სასის და საყლაპავის შუა ნაწილის კუნთები, რაც გავლენას ახდენს ზედა ყბის არასრულფასოვან განვითარებაზე, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ – ქვედა ყბის არასწორი ზომისა და ფორმის ჩამოყალიბებაზე.

დაბადების პირველივე დღეებიდან ბავშვს აღენიშნება ფუნქციონალური დარღვევები. ზედა ტუჩის და განსაკუთრებით სასის ნაპრალის არსებობის დროს საკმაოდ რთულდება ბუნებრივი გზით კვება. საჭიროა ბავშვის კვება კოვზით, ან მატყუარით. იმის გამო, რომ პირის და ცხვირის ღრუები დაკავშირებულია ერთმანეთთან თავდაპირველად ხდება რძის, შემდგომ კი სხვა საკვები ნაწილაკების მოხვედრა ცხვირში. ამ ღრუების გაერთიანება შეუძლებელს ხდის ნორმალურ სუნთქვას. იგი ხდება გახშირებული და ზედაპირული, რაც იწვევს ორგანიზმის დასუსტებას. ცხვირითა და პირით ერთდროული სუნთქვა იწვევს ისეთ დაავადებებს, როგორიცაა: რინიტი, ოტიტი, ფრონტიტი...

ცხვირის ღრუში ანთებითი პროცესების მიზეზი არის მასში მოხვედრილი და შეკავებული საკვების ნარჩენები. შემდგომ წლებში ემატება მეტყველების დარღვევაც. რასაც მივყავართ ბავშვის გარიყვისაკენ სოციალური ფენებიდან.

იმის გამო, რომ შეფერხებულია როგორც ზოგადი, ასევე ყბების ზრდა, ხდება კბილების დაგვიანებული ამოჭრა. კერძოდ, სარძევე კბილები ამოიჭრება რამდენიმე თვით გვიან, ხოლო მუდმივი საჭრელები და ეშვები 1-2 წლის დაგვიანებით.

ნაპრალის მიდამოში შესაძლოა განვითარდეს კბილთა ჩასახვის პათოლოგიები, როგორიცაა: ადენტია, ზეკომპლექსური კბილები, მიკროდენტია, რეტენცია, ჩანასახის არასწორი მდებარეობა...

***– როდის კეთდება პირველი ოპერაცია?***

– ზედა ტუჩის ოპერაცია კეთდება ბავშვის ზოგადი მდგომარეობის გათვალისწინებით 4-6 თვის ასაკში. ქეილოპლასტიკის შემდეგ ბავშვს უმზადებენ ობტურატორს, რათა მოხდეს ცხვირისა და პირის ღრუს გამიჯვნა. მისი საშუალებით ხდება როგორც სუნთქვის, ასევე საკვების მიღების პროცესის გაუმჯობესება.

ზოგიერთი ქირურგის აზრით, ობტურატორი ახდენს ლორწოვანი გარსის დათხელებას ნაპრალის კიდეებთან, რაც თავის მხრივ პრობლემას უქმნის ნორმალურ ქირურგიულ ჩარევას.

1,5-2 წლის ასაკში ტარდება ველოპლასტიკა, რაც გულისხმობს სასის უკანა წანაზარდების დაახლოებას. მაგარი სასის ნაპრალის პლასტიკური ოპერაცია ხდება სკოლამდელ ასაკში. საკვების მიღებისა და მეტყველების გაუმჯობესების მიზნით.

როგორც პრაქტიკამ აჩვენა, მხოლოდ ქირურგიული ჩარევით ვერ ხერხდება სრულად ფუნქციისა და ესთეტიკის აღდგენა. ასეთ ბავშვებში ოპერაციის შემდეგ წარმოქმნილი ნაწიბური ახდენს ზედა ტუჩის დამოკლებას, რაც თავის მხრივ ზრდის ზეწოლას ზედა ყბის ალვეოლური მორჩის ფრონტალურ ნაწილზე.

ორთოდონტიული მკურნალობა ბავშვებში ზედა ტუჩისა და სასის ნაპრალის დროს იწყება 3-4 წლის ასაკში. ქეილოპლასტიკის შემდეგ ზედა ტუჩის ცალმხრივი ნაპრალის დროს, ზედა ყბის კბილთა რკალი განაგრძობს დეფორმირებას, ფორმაშეცვლილი ტუჩის ზეწოლის შედეგად. ხდება მოკლე ფრაგმენტის გადმონაცვლება წინ და სასისკენ, ხოლო დიდი ფრაგმენტი მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის. საბოლოო ჯამში, კბილთა რკალი ხდება ასიმეტრიული. უმეტეს შემთხვევაში აღინიშნება კბილთა რკალის შევიწროება ჰორიზონტალურ – ხშირად ეშვების მიდამოში და საგიტალურ სიბრტყეში. ზედა ყბის დეფორმაცია თავის მხრივ აისახება ქვედა ყბის დეფორმაციაზეც.

## კალეიდოსკოპი

### ინდოელმა ქირურგებმა 400-კილოგრამიან ეგვიპტელს კუჭი დაუპატარავეს



ინდოელმა ექიმებმა წარმატებით გაუკეთეს ოპერაცია ეგვიპტელ ემან აჰმედ აბ ელ ატის, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მძიმეწონოსან ქალად ითვლება.

ქირურგებმა გასტროპლასტიკის დახმარებით ემან ახმედის კუჭის მოცულობა 85 პროცენტით შეამცირეს. ოპერაცია დაეხმარება მას საკვების რაოდენობის მიღების შემცირებასა და ამის შედეგად წონაში დაკლებაში.

– როგორც კი მისი მდგომარეობა დასტაბილურდება, ის მშობლიურ ქალაქში დაბრუნება და ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ წონის დაკლებას გააგრძელებს, – განმარტა ერთ-ერთმა სპეციალისტმა, რომელიც ეგვიპტელის მკურნალობითაა დაკავებული, – მისი წონა უკვე შემცირებულია 100 კილოგრამით, ეს კი თხევადი დიეტით გახდა შესაძლებელი და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მომდევნო ექვს-რვა თვეში ის კიდევ 100 კილოგრამს დაიკლებს წონაში.

### ესპანელი მღვდელი კარნავალზე პლეიბოის დამაარსებლის სახით წარდგა



ესპანელმა ღვთისმსახურმა ხუან კარლოს მარტინესმა ქალაქ კუნტისიდან თავისი საკარნავალო კოსტიუმის გამო, რომელიც ჟურნალ პლეიბოის დამაარსებლის ჰიუ ჰეფნერის სტილში იყო შესრულებული, ბოდიში მოიხადა.

ღონისძიებაზე, რომელიც ერთი კვირის წინ გაიმართა, ის ხალათსა და კაპიტნის ქუდში, სიგარითა და ორი მამაკაცის თანხლებით გამოცხადდა. ისინი საცურაო კოსტიუმებსა და ბადისმაგვარ კოლგოტებში იყვნენ გამოწყობილნი, თავზე პარიკები და კურდღლის ყურები ეკეთათ. მარტინესი მათთან ერთად წითელი ქსოვილის ფონზე პოზირებდა, სხეულის უხამს მოძრაობებს ასრულებდა ერთ-ერთ „თანამგზავრთან".

ღვთისმსახურმა, რომელმაც კარნავალში მონაწილეობისთვის თავისი სტატუსისთვის სრულიად შეუფერებელი ჩაცმულობა შეარჩია, ერთ-ერთ გამოცემასთან საუბარში განაცხადა, რომ საკუთარ ქმედებას ინანიებს და სურს, არქიეპისკოპოსს შეხვდეს, რათა მის წინაშე პირადად მოინანიოს.

მარტინესის თქმით, კათოლიკური ეკლესიის სხვა წარმომადგენლები უკმაყოფილონი დარჩნენ მისი საქციელით და მოუწოდეს, დაფიქრდეს საკუთარ ქმედებაზე, რომელიც ღვთისმსახურისთვის აშკარად შეუფერებელია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

**14 მარტისათვის**



**ვერძი** – კოლექტიური საქმიანობა სარგებლობას მოგიტანთ. კარგი დღეა ასევე აქტიური დასვენებისათვის. **კურო** – კონცენტრირება დადებით აზრებზე მოახდინეთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** – ცდუნების ალბათობა საკმაოდ დიდია. ემოციები მძლავრობს. ენერგიას ფუჭად ნუ დახარჯავთ. **კირჩხიბი** – ქრონიკული დაავადებები მწვავდება. ყოველგვარი საქმე გადადეთ და ჯანმრთელობას მიხედეთ. **ლომი** – თანამოაზრეებთან ერთად ყველა საქმე გამოგივათ. ოპტიმიზმი და მიზანდასახულობა დღის დევიზია. **ქალწული** – საკუთარი ნიჭის წარმოჩენას მარტივად მოახერხებთ. ნუ მოდუნდებით. გუნდური მუშაობა ნაყოფიერი იქნება. **სასწორი** – მოსალოდნელია ფინანსური სირთულეები. დისკომფორტს განიცდით, თუმცა ეს ყოველივე დროებითია. **ღრიანკალი** – საქმიანი ურთიერთობისათვის კეთილისმყოფელი დღეა. მოთმინება გამოიჩინეთ და მიზანს უთუოდ მიაღწევთ. **მშვილდოსანი** – ჩანაფიქრის რეალიზება არ გაგიჭირდებათ. მთავარია, შეუპოვრობა და მხნეობა გამოავლინოთ. **თხის რქა** – საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცევით. თქვენი მომხიბვლელობა გულგრილს არავის დატოვებს. **მერწყული** – ნურავის მისცემთ უფლებას, გუნება-განწყობა გაგიფუჭოთ. დღეს მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე იზრუნეთ. **თევზები** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად შეუფერებელი დღეა. ტყუილუბრალოდ ნერვებს ნურაფერზე აიშლით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ფრანგი პოსტიმპრესიონისტი მხატვარი; 2. მეთოთხმეტე საუკუნის სპარსელი პოეტი; 3. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 5. ზღვის ღელვისგან დასაცავი გრძელი ჯებირი ნავსადგურის შესასვლელთან; 6. ვიწრო გასასვლელი ძნელად მისადგომ ადგილებში ჭაობში, მთებში; 8. შხამიანი გველი; 11. კუჭქვეშა ჯირკვალი; 13. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება; 14. მომთაბარე არაბი; 15. თავად-აზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 19. მცირე ალკოჰოლიანი, გამაგრილებელი სასმელი.

**თარაზულად:** 1. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 4. ებრაელთა რელიგიურ, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონთა კრებული; 7. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 9. ფულის ერთეული ინგლისში, ფუნტი სტერლინგის მეოცედი ნაწილი; 10. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 12. ძველბერძენი დრამატურგი; 16. მხარე გერმანიაში; 17. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულებას ადგენენ მტკიცების გზით; 18. ვაშლის ქართული ჯიში; 20. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 21. ქართული ფოლკლორული ანსამბლი; 22. სპილენძის შენადნობი ნიკელთან.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. კრენდელი; 7. მორტირა; 8. კრონი; 9. აგორა; 10. გრემი; 13. სკოჩი; 15. კრიტერიუმი; 18. კანდელა; 20. ორთო; 21. ჰამაკი; 23. ციკლოტრონი; 24. სტენდი.

**შვეულად:** 1. გრამატიკა; 2. ჰექტარი; 3. გირაგი; 4. კრიკი; 5. კრინტი; 11. მანერა; 12. ტრიოდი; 14. ჩელო; 16. რეიგანი; 17. კორმუსი; 19. ლესინგი; 21. ჰონდა; 22. პატრი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. კალისტო; 2. იან; 3. ბოიარდი; 4. არია; 5. სი; 6. აბრისი; 7. ბარსა; 8. იგორ; 9. აბაკა; 10. საბუე; 11. პილიგრიმი; 12. მიმიკრია; 13. გო; 14. პატრონტაში; 15. აქრომატი; 16. ქარელი; 17. ტო; 18. ტუში; 19. აგამია; 20. ალია; 21. ამარეტო; 22. ნიობიუმი; 23. იდიია; 24. არაქსი; 25. ობი; 26. ივარ; 27. გერმანია; 28. ნო; 29. მო; 30. აპერკოტი; 31. არ; 32. რამაიანა; 33. ია.

**სურათებზე:** ლილი სობესკი; სერხიო რომერო.

# ქეთევან კიკნაძე ქალ მძღოლებს აფრთხილებს



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ქეთევან კიკნაძე ქალ მძღოლებს აფრთხილებს და თაღლით ტაქსის მძღოლზე ინფორმაციას ასაჯაროებს.

**ქეთევან კიკნაძე:**

– ქალი მძღოლების საყურადღებოდ... ბაზრიდან სახლში ვბრუნდებოდი, ტაქსისტმა გამაჩერა, ვკითხე, რაშია საქმე-მეთქი, კაპოტს თავი ახადა, რაღაც შლანგს მოუჭირა ხელი და მითხრა, წყალი ადუღდაო. მე გამიკვირდა, ვინაიდან არ იყო სიცხე. მითხრა რაღაც ნაწილზე, ამის ბრალიაო, წაგიყვანთ ბაზრობაზე, მე თქვენგან არაფერი მინდა, გაყიდინებთ და ისევ მოგიყვანთო, მე ვუთხარი, ფული არა მაქვს, ბაზრიდან მოვდივარ და დავაყენებ მანქანას, სხვა გზა არა მაქვს-მეთქი.

სავარძელში ჩემი ინტერვიუ, დიდი სურათით მედო, იმასაც უყურებდა, ვიფიქრე, მიცნო-მეთქი, მაგრამ არა, ჩამაცივდა ეს კაცი, წაგიყვანთ და მოგიყვანთო, არა მაქვს ფული, დიდი მადლობა, მომაკითხავენ, ახლავე დავრეკავ-მეთქი.

წავიდა ეს კაცი. მე ცოტა ხანს ვიდექი. იქიდან პირდაპირ პროფილაქტიკაში მივედი, წესიერი კაცი იყო, შეათვალიერა ყველაფერი და სახელით მომმართა: ქალბატონო ქეთევან! მანქანას არაფერი სჭირს არ მოგატყუილონო, რა თქმა უნდა, ვუამბე ყოველივე. სულ მადლობები ვუხადე.

ამას ვწერ ქალების გასაგონად, გაფრთხილდით, მძღოლო ქალებო!

# ნიკო გომელაურის ლექსებს ამახინჯებენ



მსახიობისა და პოეტის ნიკო გომელაურის ლექსები მკითხველში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ინტერნეტში არაერთი გვერდია შექმნილი, სადაც მისი ლექსებია განთავსებული.

როგორც ნიკოს მეუღლე ნინა ჩოდრიშვილი აცხადებს, ხშირად ნიკოს ლექსებს ამახინჯებენ, ან საერთოდ სხვის ლექსებს მიაწერენ ნიკოს. პოეტის გულშემატკივრებთან ერთად ნინამ ყალბი გვერდების მფლობელებს თხოვნით მიმართა, წაეშალათ ის ლექსები, რომლებიც ნიკოს არ ეკუთვნოდა და შეეწყვიტათ ნიკოს ლექსების დამახინჯება. პასუხად კი მათგან დაბლოკვა მიიღო. ამის გამო ნინა იძულებული გახდა, სპეციალური ვიდეომიმართვა გაევრცელებინა:

– საქმე საკმაოდ უსიამოვნო და სერიოზულია. ბევრი წელია ინტერნეტში დიდი რაოდენობით ვრცელდება ლექსად ნახსენები გაუგებარი წარმოშობის ქმნილებები, რომელსაც ნიკო გომელაურის სახელს არქმევენ. მინდა გითხრათ, რომ მსგავსი მტრობა არც გამიგია.

ნიკო თავის თავს ვერ დაიცავს, ამიტომ უნდა დავიცვათ ჩვენ – მე და მისმა ახალგაზრდა გულშემატკივრებმა. არსებობს ინტერნეტში გვერდები, რომლებიც დიდი სიხარულით და ენთუზიაზმით ავრცელებენ ამ არა ნიკოს ლექსებს, პლუს ცვლიან ნიკოს ლექსებში რატომღაც სიტყვებს, შეცდომითაც ბეჭდავენ. როცა მათ ვთხოვეთ, რომ ყურადღებით იყვნენ, პასუხად დაგვბლოკეს.

სხვა გამოსავალი არ გვაქვს, მოგმართავთ თქვენ დიდი თხოვნით, მათ, ვისაც ნიკო უყვარს, ვინც კითხულობს ნიკოს ლექსებს, იხელმძღვანელოთ ამ გვერდით, სადაც ვარ სტუმრად და კიდევ ერთი გვერდით, რომელიც სახელით „ნიკო გომელაური ოფიციალური" არის ცნობილი და იმ ადამიანებსაც, რომლებსაც არ უყვართ უპატიოსნო, არამზადა ადამიანები, რომლებიც ასეთ ცუდ და საზიზღარ საქმეს ეწევიან.

# შორენა ბეგაშვილს მანქანა აჩუქეს



მსახიობმა და ტელეწამყვანმა შორენა ბეგაშვილმა ნანუკა ჟორჟოლიანის შოუში სტუმრობისას განაცხადა, რომ თავისი ძვირადღირებული მანქანა „რენჯ როვერი" შვილის, ევას ოპერაციისთვის გაყიდა და ახლა ტაქსით გადაადგილდება.

ამ განცხადებიდან რამდენიმე დღეში კი მას ახალი მანქანა აჩუქეს. წითელი ბაფთით შეფუთული მანქანა შორენას სახლთან მიუყვანეს. ფოტოები მსახიობმა ინტერნეტში თავად განათავსა.

ჯი კლასის „მერსედეს ბენცი" შავი ფერისაა. ავტომობილი იაფი ნამდვილად არ ღირს – მისი ფასი 80.000 ევროდან იწყება. შორენამ ფოტოს გამოქვეყნებისთანავე ბევრი მილოცვა და დადებითი კომენტარი მიიღო. გულშემატკივრების სურვილებს მსახიობმაც უპასუხა და თითოეულ მათგანს დიდი მადლობა გადაუხადა.

# კომპოზიტორის გადასარჩენად საქველმოქმედო საღამო ჩატარდება



თი ბი სი ბანკი GE35TB7000000365164288
მიმღები: მაია ელოშვილი

კომპოზიტორ მაიკო ელოშვილის გადასარჩენად საქველმოქმედო საღამო ჩატარდება. ხელოვანს ჯანმრთელობის გაუარესების გამო ჩვენი თანადგომა ესაჭიროება.

17 მარტს, 17-დან 20 საათამდე, ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, საქველმოქმედო საღამო გაიმართება, სადაც იქნება პოეზია, მუსიკა, გაიყიდება შემოწირული წიგნები და ნახატები.

მაიკო ელოშვილი:

– სამი წელია ვიბრძვი სიცოცხლისთვის. ვებრძვი ძუძუს კიბოს. ვიმკურნალე. მეგონა, ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ რეციდივი განმეორდა ფილტვებზე. ფილტვებში არის მრავლობითი მეტასტაზური დაზიანება. მჭირდება ერთწლიანი ძვირადღირებული მკურნალობა და ასევე სპეციალური სკანირება, რომელიც კეთდება თურქეთის კლინიკებში. შესაძლოა საჭირო გახდეს მკურნალობის გაგრძელება თურქეთის კლინიკაში. ეს დამოკიდებულია გამოკვლევის პასუხზე. მქონდა საუბარი ექიმთან. საქმე არც ისე მარტივადაა. სამწუხაროდ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

*სპორტი*

# ვაისმა და მუსლინმა შემადგენლობა დაასახელეს

24 მარტს საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მორიგ შეხვედრას სერბეთის წინააღმდეგ დინამო არენაზე გამართავს.

ნაკრები 20 მარტიდან წლის პირველი ოფიციალური მატჩისთვის მზადებას იწყებს. უახლოესი ორი შეხვედრისთვის ვლადიმირ ვაისმა ნაკრებში 24 ფეხბურთელი გამოიძახა, მათ შორის მყოფი თორნიკე ოქრიაშვილი და მურთაზ დაუშვილი სერბეთთან ოფიციალურ მატჩს ყვითელი ბარათების გამო გამოტოვებენ.

**საქართველოს ნაკრების შემადგენლობა:**

**მეკარეები:** გიორგი ლორია (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), გიორგი მაკარიძე (მორეირენსე, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო);

**მცველები:** ოთარ კაკაბაძე (ესბიერგი, დანია), სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), დავით ხოჭოლავა (ჩერნომორეცი, უკრაინა), გიორგი ნავალოვსკი (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), ჯემალ ტაბიძე (ურალი, რუსეთი), გიორგი რეხვიაშვილი (ლოკომოტივი, თბილისი);

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა (რეიმსი, საფრანგეთი), ვაკო გვილია (ბატე, ბელარუსი), ნიკა კვეკვესკირი (გაბალა, აზერბაიჯანი), მურთაზ დაუშვილი (დიოშგიორი, უნგრეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ოთარ კიტეიშვილი (დინამო, თბ), ვალერი ყაზაიშვილი (ლეგია, პოლონეთი), ჯაბა ჯიღაური (ვარდარი, მაკედონია), სანდრო კობახიძე (გიოზთეფე, თურქეთი), გიორგი არაბიძე (შახტარი, უკრაინა), თორნიკე ოქრიაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი);

**თავდამსხმელები:** ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ნიკა კაჭარავა (ეთნიკოსი, კვიპროსი), გიორგი ქვილითაია (რაპიდი, ავსტრია).

დისკვალიფიცირებული ოქრიაშვილისა და დაუშვილის შემადგენლობაში ყოფნა იმით გამოიხატება, რომ 28 მარტს, ჩვენი გუნდი ამხანაგურ მატჩში ლატვიას ასევე თბილისში უმასპინძლებს.



შემადგენლობა დაასახელა სერბეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სლავოლიუბ მუსლინმაც. ჩვენი მეტოქე, რომელსაც დისკვალიფიკაციის გამო გერმანული შალკეს მცველი მატია ნასტასიჩი და ესპანური ალავესის შემტევი ალექსანდარ კატაი ვერ დაეხმარებიან, თბილისს ამ შემადგენლობით ეწვევა:

**მეკარეები:** ვლადიმირ სტოიკოვიჩი (ნოტინგემი, ინგლისი), პრედრაგ რაიკოვიჩი (მაკაბი, ისრაელი), ალექსანდრ იოვანოვიჩი (ორჰუსი, დანია);

**მცველები:** ბრანისლავ ივანოვიჩი (ზენიტი, რუსეთი), იაგოშ ვუკოვიჩი (ქონია, თურქეთი), სტეპან მიტროვიჩი (გენტი, ბელგია), ნიკოლა მაქსიმოვიჩი (ნაპოლი, იტალია), ალექსანდრ კოლაროვი (სიტი, ინგლისი), მილან ობრადოვიჩი, უროშ სპაიჩი (ორივე ანდერლეხტი, ბელგია), ანტონიო რუკავინა (ვილიარეალი, ესპანეთი);

**ნახევარმცველები:** ლიუბომირ ფეისა (ბენფიკა, პორტუგალია), ლუკა მილივოევიჩი (კრ.პალასი, ინგლისი), ნემანია რადოია (სელტა, ესპანეთი), ნემანია მატიჩი (ჩელსი, ინგლისი);

**თავდამსხმელები:** დუშან ტადიჩი (საუთჰემპტონი, ინგლისი), ფილიპ კოსტიჩი (ჰამბურგი, გერმანია), ლაზარ მარკოვიჩი (ჰალი, ინგლისი), ზორან ტოშიჩი (ცსკა, რუსეთი), ალექსანდარ მიტროვიჩი (ნიუკასლი, ინგლისი), ანდრია პავლოვიჩი (კოპენჰაგენი, დანია), უროშ ჯურჯევიჩი (პარტიზანი), მიატ გაჩინოვიჩი (აინტრახტი, გერმანია).

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

*კალეიდოსკოპი*

## კრისტის აუქციონზე სამკაულებს გამოიტანენ გასაყიდად



კრისტის აუქციონის სახლში გასაყიდად 3 და 5 მილიონი დოლარის სამკაულები იქნება გამოტანილი.

ჰონკონგის აუქციონის პირველი ლოტი იქნება ბეჭედი ჰარი უინსტონი, რომელიც ცნობილია, როგორც ჯონკერ V-ი. ის დამზადებულია სახელგანთქმული ჯონკერის ალმასის ფრაგმენტისგან, რომელიც 1934 წელს იქნა აღმოჩენილი. იმ მომენტისთვის 726 კარატიანი ქვა ოდესმე აღმოჩენილ ალმასებს შორის სიდიდით მეოთხე ალმასად ითვლებოდა.

კრისტის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ აღნიშნული ბეჭედი 3 მილიონ დოლარზე მეტ თანხად გაიყიდება. მეორე ლოტს წარმოადგენს ზურმუხტებითა და ბრილიანტებით გაწყობილი ყელსაბამი, რომელიც ედმონდ ჩინის მიერაა დამზადებული. მცენარეული ორნამენტის გამო, სამკაულს „პალმეტას" უწოდებენ.

აუქციონის სახლის წარმომადგენლების აზრით, აღნიშნული ლოტი 3,6 მილიონიდან 5 მილიონ დოლარამდე თანხად გაიყიდება.

## სასამართლოს დროს ადვოკატს შარვალზე ცეცხლი წაეკიდა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამის სასამართლოს დარბაზში სიტყვის გამოსვლის დროს ადვოკატს, რომელიც ცეცხლის წაკიდებაში ეჭვმიტანილის ინტერესებს იცავდა, შარვალზე ცეცხლი წაეკიდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სტივენ გუტიერესი სიტყვით ნაფიც მსაჯულებს მიმართავდა. მან განაცხადა, რომ მის კლიენტს სულ ტყუილად სდებდნენ ბრალად საკუთარი ავტომობილისთვის ცეცხლის წაკიდებას, ვინაიდან მანქანა თავად აალდა. სწორედ ამ მომენტში ადვოკატის ჯიბიდან ბოლი ამოვარდა და ის იძულებული გახდა, სასამართლო დარბაზი სასწრაფოდ დაეტოვებინა. რამდენიმე წუთის შემდეგ გუტიერესი უკან დაბრუნდა და განმარტა, რომ ცეცხლი მისი ელექტროსიგარეტის ბატარეას გაუჩნდა.

ზოგიერთმა თვითმხილველმა განაცხადა, რომ სანამ ეს მოხდებოდა, ადვოკატი ჯიბეში ხელს აფათურებდა, თუმცა თავად იურისტი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ეს სრული შემთხვევითობა იყო და საქმის განხილვას არ უკავშირდებოდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


## სამგლოვიარო განცხადებები

უახლოესი მეგობრები: ნოდარ ჭითანავა, ანზორ ბურჯანაძე, გურამ გუნავა, ადრენიკა კოპლატაძე, ამირან მექვაბიშვილი, ნუგზარ ნადარაია, ჯემალ ნაკაშიძე, გაიოზ ნოზაძე, გიორგი ნაჭყებია, ნოე ჩაგუნავა, გიორგი წითლანაძე მწუხარებით იუწყებიან ღირსეული პიროვნების, ღვაწლმოსილი ადამიანის

**გიორგი ახმეტელის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**




# პროგრამა

**სამშაბათი**
**14 მარტი**

**07.00** დოკ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "წიგნების თარო" **15.00** "X სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 03.35** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** სპორტული თოქ-შოუ . სპორტი 360 **23.00** ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო **23.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის 1/8 ფინალური მატჩი **01.30** მხ/ფ "**თარჯიმანი**" (ნ.კიდმანი)

**08.00** დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **09.00** დ/ფ "ანატოლიის გარგარი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "ეფლი" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი** " **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **15.00, 18.00**"ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია** " **23.00** "ნამდვილი დრო" **23.45** **ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგის **1/8** ფინალური მატჩი

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ცოდნა ფულია **23.30** სერ. "**აგენტურა**" **9-10** სერ. **01.30** მხ/ფ "**სკეპტიკოსი**" **03.15** მხ/ფ "**დიდი ოსტატი**"

**06.00, 16.55** სერ. "**ოქროს გალია**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **19.00, 20.03** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი მხ/ფ, კურიერის დაიჯესტი მხ/ფ

**08.00** ან/სერ. "ავატარი" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**სიმართლის ანატომია**" **15.00** სერ. "**სასტუმრო, სეზონი**" **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **21.00** მხ/ფ "**მოსამსახურე**" **00.00 18+ 01.00** მხ/ფ "**ფლეზენთვილი**"

**06.10** სპექტაკლი "**ასერგასის დღე**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება **10.50** ყველაზე, ყველაზე...მსხვილი ნაგებობები **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მოკ. მხ/ფ "**ქოჩორა**" **12.30** საქართველო ევროპულ ოჯახში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** თბილისის ტაძრები "სიონი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** დ/ფ "კინო და წლები" || ნაწ. **16.40** ქრისტიანული ხელოვნება "ქრისტიანული გამოსახულებები ნუმიზმატიკაში" **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** სამყაროს შექმნა **19.50** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა "იოსების სიზმარი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ლექსით ქებათა ქება **21.15** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ღვთის სახლი "ტაო-კლარჯეთის ეკლესიათა მოხატულობა" **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.00** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "მაშა და დათვი" **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **10.00, 1.30** სერ. "**ორი გული**" **11.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50, 20.55** სერ. "**ვერონიკა**" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **22.50** სერ. "**ესკობარი**" **1.00** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


14 მარტისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5111

ევრო — 2.6650

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0540

100 რუსული რუბლი — 4.2481

## ამინდის პროგნოზი 14 მარტისთვის





## 10 მარტიდან

120 ამბავი

### ალექსანდრე მაკედონელი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




## 13 მარტიდან

ეკა ჩიხლაძე

### დასახვრეტი საქმე




წიგნში საბჭოთა საქართველოს მიერ საქმის ორგანიზატორად შერაცხული და დახვრეტილი ბერი თეოდორეს ქალიშვილი, ეკა ჩიხლაძე მოგვითხრობს თვითმფრინავის ბიჭების შესახებ, რომელთა ქმედებისა და დასჯის მიმართ დღემდე რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს.

წიგნში გაეცნობით „შავი ყუთის“ შიფროგრამას, თვითმფრინავის სქემას, ფოტოებს და სხვა.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი


## ანიტა რაჭველიშვილი ორი პრესტიჟული დაჯილდოების ნომინანტია



მსოფლიოში აღიარებული ქართველი მეცო სოპრანო ანიტა რაჭველიშვილი ორი პრესტიჟული დაჯილდოების ნომინანტია. ორივე დაჯილდოება საოპერო სფეროში მოღვაწე ხელოვანებს აერთიანებს.

„ოპერის ვარსკვლავი“ და „ოპერა ავარდს“ – ასე ეწოდება დაჯილდოების ცერემონიალებს, რომლებშიც საუკეთესო მეცო სოპრანოს ტიტულის მოსაპოვებლად ქართველი მომღერალი იბრძოლებს.

ოპერა ავარდს 2017-ისთვის დაწესებულ 17 ნომინაციაში საუკეთესოებს 7 მაისს ლონდონის კოლიზეუმში გამოავლენს. ანიტა რაჭველიშვილი ერთადერთი ქართველია, რომელიც ამ პრესტიჟულ დაჯილდოებაზე მოხვდა. მეცო-სოპრანო წარდგენილია ნომინაციაში საუკეთესო საოპერო მომღერალი ქალი. გამარჯვებისთვის ანიტასთან ერთად მსოფლიოში აღიარებული 6 საოპერო მომღერალი იბრძოლებს.

„ოპერის ვარსკვლავი“ არანაკლებ პრესტიჟული დაჯილდოების ცერემონიალია. მასში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი საოპერო ვარსკვლავები არიან ნომინირებული:

ანიტა რაჭველიშვილი:

– ძალიან ბედნიერი ვარ! ეს უკვე მეორე ნომინაციაა წელს ოპერა ავარდსის ნომინაციის მერე. გამიხარდება თუ გავიმარჯვებ, თუმცა ნომინანტებში მოხვედრაც დიდი გამარჯვებაა! წელს ხმის მიცემა საჭირო აღარ არის, კომპეტენტური ჟიური გადაწყვეტს, ვინ იქნება გამარჯვებული! წარმატებები ყველა ნომინანტს!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ემილია კლარკი
### დოლჩე და გაბანას ახალი სახე გახდა



მსახიობი ემილია კლარკი დოლჩე და გაბანას ახალი სახეა. „სამეფო თამაშების“ ვარსკვლავს არომატის ვანის რეკლამირება მოუწევს, რომლის კამპანიაც მიმდინარე წლის სექტემბერში დაიწყება.

როგორც დიზაინერებმა დომინიკო დოლჩემ და სტეფანო გაბანამ განაცხადეს, კლარკი დოლჩე და გაბანას ქალის იდეალური განსახიერებაა.

– მისი პიროვნულობა და ბუნებრივი სილამაზე ამ ახალი კომპანიის არსს წარმოაჩენს, მხიარულს, სპონტანურსა და სიცოცხლით სავსეს, – აღნიშნეს დიზაინერებმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



რეპორტიორები ინტერვიუს იღებენ 19 წლის მოდელისგან, რომელიც 80 წლის მაგნატის ქვრივი გახდა. ერთ-ერთი ეკითხება:

– ალბათ, თქვენი სექსუალური ცხოვრება ხანმოკლე აღმოჩნდა თქვენი მეუღლის გარდაცვალების გამო.

– ყველაფერი შესანიშნავად იყო. ყოველ კვირა დილას ჩვენ ეკლესიის ზარების რეკვის ფონზე სიყვარულით ვიყავით დაკავებული, მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ერთ მშვენიერ კვირას, დილით, ჩვენს სახლთან სახანძრო მანქანამ ჩაიარა ზარის რეკვით: ძინძინძინძინ...

•••

პოლიციის პატრული გზაზე წინ მიმავალ მანქანას წამოეწია და ხედავს, უკანა მინაზე გაკრულია წარწერა, რომ ავტომობილი სასწრაფოდ იყიდება. მითითებულია გამოშვების წელი, ძრავის მოცულობა და მფლობელის ტელეფონის ნომერი. პოლიციელებმა გადაწყვიტეს, დაერეკათ და მერე მანქანის მართვისას ტელეფონით საუბრისთვის დაეჯარიმებინათ. ასეც მოიქცნენ, სხვადასხვა დეტალს ეკითხებიან, მძღოლი კი მათ ხმამაღალი კავშირით პასუხობს. ბოლოს პოლიციელი ეუბნება:

– შენი ხმა ცუდად ისმის, ტელეფონი აიღე და ისე მიპასუხე.

– ავიღებდი, მაგრამ უკან ორი პი...ტი მომყვება...

•••

წყვილს დიდი ხნის განმავლობაში შვილი არ უჩნდებოდა. ბევრ ექიმს მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს ერთმა ექიმმა მამაკაცს ურჩია:

– ცოლთან კავშირი ისეთ დროს დაამყარე, როდესაც ეს მისთვის მოულოდნელი იქნება და, შესაძლოა, დაფეხმძიმდეს.

ოთხი თვის შემდეგ ბედნიერი მამაკაცი ექიმთან მივიდა მადლობის სათქმელად. ექიმი ეკითხება:

– როგორ მოახერხე ასე მოულოდნელად კავშირის დამყარება, რომ მეუღლე დაფეხმძიმდა?

– მაცივრიდან რაღაცის გამოღება უნდოდა, ამ დროს მივეპარე, კაბა ავუწიე და...

– ჰოო, ალბათ, ძალიან გაკვირვებული დარჩა.

– ეგ არაფერი, თქვენ სუპერმარკეტში მყოფების სახეები უნდა გენახათ!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## მოსკოვის სპარტაკის მწვრთნელმა ჯანო ანანიძე შეაქო



მოსკოვის სპარტაკის იტალიელმა მწვრთნელმა მასიმო კარერამ ქართველ ლეგიონერ ჯანო ანანიძეზე ისაუბრა და თქვა, რომ ქართველი ფეხბურთელი ძალიან სწრაფი და ტექნიკურია.

კარერას აზრით, ჯანო რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური მოთამაშეა და მას კიდევ შეუძლია პროგრესირება.

სპარტაკმა რუსეთის ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაში საკუთარ მოედანზე ანჟი დაამარცხა და გოლი სწორედ ჯანო ანანიძის მოედანზე შემოსვლას მოჰყვა. წლევანდელი სეზონი ჯანოსთვის საკმაოდ ნაყოფიერი და წარმატებულია, რადგან მან ყველა ტრავმა მოირჩინა და სპარტაკში ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა.

## ბარსელონამ პირველად წააგო იმ შეხვედრაში, რომელშიც ლუის სუარესმა გოლი გაიტანა



ბარსელონამ სტუმრად დეპორტივოსთან მოულოდნელი მარცხი განიცადა და ამ შეხვედრაში ერთი საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა – ბარსელონამ პირველად წააგო მატჩში, სადაც ლუის სუარესმა გოლის გატანა მოახერხა.

აქამდე სუარესმა ბარსელონას მაისურით 73 თამაშში შეძლო გოლის გატანა და აქედან კატალონიურ გუნდს არც ერთი მატჩი არ ჰქონდა წაგებული. დეპორტივოსთან ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. სუარესმა შეძლო გოლის გატანა, მაგრამ ამან ბარსელონას არ უშველა.

დეპორტივოსთან გატანილი გოლი სუარესისთვის 21-ე იყო ესპანეთის ჩემპიონატში.

## სერხიო რამოსი: „ბარსელონამ გმირობა ჩაიდინა“



მადრიდის რეალის მცველმა სერხიო რამოსმა ბარსელონას და პსჟ-ს დაპირისპირებაზე ისაუბრა.

რამოსის თქმით, ბარსელონამ ნამდვილი გმირობა ჩაიდინა და ისტორიულ შედეგს მიაღწია. რამოსმა აღნიშნა, რომ მსაჯებმა რამდენიმე შეცდომა დაუშვეს, მაგრამ, მისი აზრით, ბარსელონამ მაინც დაიმსახურა საბოლოო გამარჯვება.

– ბარსელონას ვულოცავ ამ შედეგს. მათ ისტორიული შეხვედრა მოიგეს და ამ შემთხვევაში სხვა კომენტარის გაკეთება ზედმეტია, – განაცხადა სერხიო რამოსმა. შეგახსენებთ, რომ ბარსელონამ 0:4 მარცხის შემდეგ განმეორებით მატჩში პსჟ საკუთარ მოედანზე 6:1 გაანადგურა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ფრანგული ავტომობილი; 2. რაგბისტთა გუნდი საქართველოში; 3. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 4. მზის ღვთაება ეგვიპტურ მითოლოგიაში; 5. ქართველი პაროდისტი, ქართული მინიატურების თეატრის ფუძემდებელი; 6. ყაჩაღის ძველებური სახელწოდება; 7. ალუმინის შემცველი მადანი; 10. ფულის ერთეული ალბანეთში; 11. უნგრეთის დედაქალაქი; 12. საბრძოლო იარაღის საწყობის, არსენალის ძველი ქართული სახელწოდება; 13. რეზინისძირიანი სპორტული ფეხსაცმელი; 16. ოქროს მომპოვებელი ფირმა საქართველოში; 18. შავი ზღვის ზვიგენი; 19. უსაფუვროდ გამომცხვარი პური; 21. გარეული ცხოველი, მადრიდის სიმბოლო; 24. გადასატანი მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური.

**თარაზულად:** 1. ხვიარა-დეკორატიული მცენარეებით გაფორმებული საჩრდილობელი პარკებში; 3. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 8. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 9. ტკბილი, მოწითალო ფერის ნაყოფიანი კენკროვანი ბუჩქი; 14. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 15. ამერიკული სიგარეტი; 17. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 20. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ამჟავებული ღვინო; 23. ანგორული თხის მატყლი; 25. ჩაკეტილი მრუდი მათემატიკაში; 26. გერმანელი მწერალი; 27. ქალაქი ჩეხეთში; 28. „შუშანიკის წამების“ ავტორი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**